

Առանձին յաճանապահություն



ՀԵ Է ՏՅԱԺԻՆԱԳԻ

ပျော်ဝိဇ္ဇန် ဒာသရိုက်စံဒြောဂျွဲ



မျှေးဆို နှုန်းပြု

ტექნიკური რედაქტორი ლია გოგოხია
მხატვარი ლევან ჩლაიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ამირან ჭანტურია

© ციცინო კახაბრიშვილი

ავტორისაგან

მრავალი წლის განმავლობაში ვთამაშობდი ჭადრაკს. მონაწილეობა მიმიღია ბევრ საინტერესო ტურნირში, ვყოფილვარ სხვადასხვა ქვეყანაში, გავიცანი სხვადას-ხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანები. მსურს ჩემი მოგონებები თქვენც გაგიზიაროთ.

ასევე, ამ წიგნში გაგაცნობთ ჩემს მოსაზრებებს ჭადრაკის ისტორიის ზოგიერთ პრობლემურ საკითხზე:

1. სად და როდის გამოიგონეს ჭადრაკი;
2. „სკანდინავიური დაცვის“ ქართული ვარიანტი;
3. რატომ დაარქვეს ქართველებმა საჭადრაკო ფიგუ-რა „ვეზირს“ – „ლაზიერი“;
4. როგორ უნდა ვხატავდეთ სახელმძღვანელოებში „ლაზიერს“.

ვუძღვნი ჩემი მწვრთნელების:

შოთა ინწკირველის,

ვიქტორ გოგლიძისა და

მიხეილ შიშოვის

ნათელ ხსოვნას

საჭადრაკო სკოლის მოსწავლე

1957 წელს თბილისში გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა. ამ საქმის ინიციატორი იყო ვიქტორ გოგლიძე, პირველი ქართველი ოსტატი (1930) და საერთაშორისო ოსტატი (1950). მან სკოლაში მწვრთნელებად მიინვია: შოთა ინწკირველი, პავლე ხიზანიშვილი და ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი ჰენრიხ კასპარიანი.

შოთა ინწკირველმა მოიარა თბილისის სკოლები, რათა შეერჩია ბავშვები ჭადრაკის სკოლაში ჩასარიცხად.

მე-5 კლასში ვიყავი, როცა გაკვეთილზე შემოვიდა შოთა ინწკირველი, გაგვესაუბრა ბავშვებს, დაგვისვა კითხვები, თუ ვინ იცოდა ჭადრაკის თამაში, ვის სურდა ჩაწერილიყო სპორტულ სექციაში, რათა მონაწილეობა მიეღო ტურნირებში და ა.შ.

ჭადრაკის თამაში მამამ მასწავლა და შემაყვარა, ამიტომ სიხარულით დავთანხმდი ბატონი შოთას წინადადებას, გავმხდარიყავი საჭადრაკო სკოლის მოსწავლე.

დედამ გადაწყვეტილება დამინუნა, რადგან სამუსიკო სკოლაში დავდიოდი და არ უნდოდა ხელი შემშლოდა. მამამ დამიჭირა მხარი. მან თვითონ მიმიყვანა საჭადრაკო სკოლაში და შოთა ინწკირველს ჩამაბარა.

საჭადრაკო სკოლა განთავსდა თბილისის საჭადრაკო კლუბის შენობაში, რუსთაველის გამზირზე, 48-ში. სკოლის გახსნა აუცილებელი იყო თბილისელთათვის. მართალია, ფუნქციონირებდა საჭადრაკო წრეები პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, რკინიგზელთა სახლში, თბილისის სხვადასხვა რაიონში, მაგრამ ამ წრეებში მოსწავლეთა რაოდენობა შეზღუდული იყო. საჭადრაკო სკოლაში კი ასეულობით ბავშვი ეუფლებოდა ჭადრაკს.

სკოლაში მეორე ცვლაში ვსწავლობდი. ჭადრაკის გაკვეთილები დილის საათებში გვიტარდებოდა და იქიდან პირდაპირ სკოლაში მივდიოდი. ტროლეიბუსის გაჩერებამ-

დე ორი დიდი გადასასვლელი იყო გასავლელი. ბატონი შოთა მარტოს არ მიშვებდა, გადამიყვანდა გადასასვლელებზე, მკითხავდა: გზის ფული თუ გაქვსო, ჩამსვამდა ტროლეიბუსში და თვითონ უკან ბრუნდებოდა. მეუბნებოდა: „ოღონდ შენ ჭადრაკზე იარე და თუ საჭირო იქნება, სკოლამდეც მე მიგიყვანო“.

შოთა ინწკირველთან ორი წელი ვმეცადინეობდი. შემდეგ უფრო პერსპექტიული ბავშვები გადაგვიყვანეს ვიქტორ გოგლიძის ჯგუფში. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი შოთას მოსწავლე აღარ ვიყავი, გამუდმებით მანვდიდა პარტიებს, ამოცანებს, თეორიულ მასალას და რჩევა-დარიგებებს მაძლევდა.

საჭადრაკო სკოლაში მეცადინეობები რომ მაღალ დონეზე ტარდებოდა, ამის დამამტკიცებელი ერთ-ერთ ფაქტი არის ის, რომ სკოლის დაარსებიდან ოთხ წელიწადში აქ აღზრდილ-



ვიქტორ გოგლიძის მოსწავლეები (მარცხნიდან): ვიოლეტა კუპრაშვილი, დალი ლლონტი, ციცინო კახაბრიშვილი, დარეჯან ხუნდაძე და ნათელა ნამორაძე
თბილისი, 1962

მა მოსწავლეებმა ანა შულმანმა და მე, 1961 წელს ბაქოში გამართულ მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადაზე გოგონათა შორის დავიკავეთ III საპრიზო ადგილი.

1962 წელს მოსწავლეთა II საკავშირო ზონალური სპარტაკიადა ჩატარდა ჩიქობავამ გოგონათა შორის დავიკავეთ I ადგილი. ამან ვიქტორ გოგლიძე ისე გახარა, რომ დაიქირავა ტაქსი და ორივეს მთელი ვილნიუსი დაგვათვალიერებინა.

1964 წელს მოსწავლეთა III საკავშირო ზონალურ სპარტაკიადას ტალინი მასპინძლობდა. გოგონები და ვაჟები ერთ გუნდში ვთამაშობდით. დავიკავეთ I ადგილი. გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: თამაზ გიორგაძე, ალიკა ბოკუჩავა, ზურაბ მიქაძე, ბადრი ბანძელაძე, გიული ციხელაშვილი, მე და ნათელა ჩიქობავა.




სხედან ალიკა ბოკუჩავა და ციცინო კახაბრიშვილი, დგას გიული ციხელაშვილი. თბილისი, 1966

აღსანიშნავია, რომ თენგიზ გიორგაძის მიერ გამოცემულ წიგნში „ქართული ჭადრაკის მატიანე“, ტ. I, გვ. 154, შეც-დომაა გაპარული. თითქოს 1961 წელს ბაქოში გოგონებმა დავიკავეთ V ადგილი III ადგილის ნაცვლად, ხოლო 1962 წლის ვილნიუსისა და 1964 წლის ტალინის ტურნირების შედეგები საერთოდ არაა შეტანილი.

გთავაზობთ უკრაინის წარმომადგენელ ირინა როზენ-ცვაიგთან ბაქოში ნათამაშები პარტიის ფრაგმენტს:

კახაბრიშვილი - როზენცვაიგი ბაქო, 1961 წ.



15. $\mathbb{Q}a3$ b6 16. b4 $\mathbb{Q}e4$ 17. b5 axb5 18. $\mathbb{Q}xf8$ $\mathbb{Q}xf8$ 19. $\mathbb{Q}xb5$ $\mathbb{W}d6$ 20. $\mathbb{Q}xc6$ $\mathbb{W}xc6$ 21. $\mathbb{Q}d4$ $\mathbb{W}g6$ 22. f3 $\mathbb{Q}h3$ 23. $\mathbb{W}e2$ $\mathbb{Q}d6$ 24. $\mathbb{Q}h1$ $\mathbb{Q}d7$ 25. $\mathbb{Q}ab1$ $\mathbb{Q}c4$ 26. $\mathbb{Q}fe1$ $\mathbb{Q}a8$ 27. e4 $\mathbb{Q}e8$ 28. $\mathbb{W}d3$ $\mathbb{Q}e5$ 29. $\mathbb{W}b3$ dxe4 30. $\mathbb{Q}xe4$ $\mathbb{Q}f5$ 31. $\mathbb{Q}xf5$ $\mathbb{W}xf5$ 32. $\mathbb{W}xb6$ h6 33. a4 $\mathbb{Q}e6$ 34. $\mathbb{W}b8+$ $\mathbb{Q}h7$ 35. a5 $\mathbb{W}h5$ 36. a6 $\mathbb{Q}d7$ 37. a7 $\mathbb{Q}xb8$ 38. $\mathbb{Q}xb8\mathbb{W}$ რამდენიმე სვლაში შავები დანებდნენ

1962 წელს თბილისში გაიმართა საქართველო - ბელორუსის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. მე გოგონების დაფაზე ვთამაშობდი.

კახაპრიშვილი - გოლოვეი
საქართველო - ბელორუსია, თბილისი, 1962 წ.

1.f4 d5 2.¤f3 ¤f6 3.e3 g6 4.b3 ¤g7 5.¤b2 c5 6.¤e2 0-0
7.0-0 ¤c6 8.¤e1 e6 9.a3 a6 10.d3 b5 11.¤e5 ¤b7 12.¤d2
¤d7 13.¤xc6 ¤xc6 14.¤xg7 ¤xg7 15.e4 f6 16.¤f3 ¤c7 17.g3
¤ae8 18.¤f2 d4 19.¤ae1 e5 20.fxe5 fxe5 21.¤e2 a5 22.¤g4
¤f6 23.¤f2 ¤a8 24.¤b1 a4 25.¤h3 b4 26.bxa4 ¤xa4 27.axb4
cxb4 28.¤e6 ¤d6 29.¤b3 ¤a7 30.¤d2 ¤aa8 31.¤c4 ¤e7
32.¤ff1 ¤d7 33.¤xf8 ¤xf8 34.¤f1 ¤e8 35.¤f3 ¤d7 36.g4 h6
37.¤g3 ¤f7 38.¤b6 ¤xb3 39.¤xa8 ¤xc2 40.¤c7 b3 41.¤d5
¤d6 42.¤f2 ¤e6 43.¤e2 ¤d6 44.h3 ¤c5 45.¤f2 ¤f8 46.¤d2
¤c8 47.¤b4 ¤c5 48.¤f2 ¤f8 49.¤xc2 ¤xf2+ 50.¤xf2 bxc2
51.¤xc2 ¤f8 52.¤f2 და 71-ე სვლაზე შავები დანებდნენ 1-0

ეს პარტია დაიბეჭდა ლატვიის საჭადრაკო უურნალში „შაхматы“, 1962 წ., №15, გვ. 11.

შემდეგ წლებშიც ვთამაშობდი საქართველოს ნაკრებში გოგონათა დაფაზე:


1962 წელი, თბილისი - ერევანი, მოვუგე რ. მარტიროსიანს.

1963 წელი, თბილისი - მოსკოვი, 4 შესაძლებლობიდან მოვაგროვე $2\frac{1}{2}$ ქულა.

1967 წელი, საქართველო - უზბეკეთი, ვთამაშობდი ქალთა დაფაზე. ყაიმით დავამთავრე შეხვედრა ნიაზბეკოვასთან.

1970 წლის ივლისში რიგაში გაიმართა საქართველოსა და ლატვიის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდების ამხანა-გური მატჩ - ტურნირი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდი ნონასა და ნანას გარეშე გამოდიოდა, ლატვიის ნაკრები დავამარცხეთ ანგარიშით $22\frac{1}{2} : 13\frac{1}{2}$. მე 6 შესაძლებლობიდან $4\frac{1}{2}$ ქულა მოვაგროვე. გუნდში ვთამაშობდით: ე. კაკაბაძე, ც. კობაძე, თ. ხმიადაშვილი, ნ. ჩიქობავა, ნ. ხუბულური და მე. გთავაზობთ ფრაგმენტს ჩემი ნათამაშები პარტიიდან:

**ნახიმოვსკაია - კახაბრიშვილი
საქართველო-ლატვია, რიგა, 1970**



**30.bxc6 ♜xf3+ 31.¤xf3 ♜xf3 32.¤xf3 ♜h2 33.¤xd5 ♜xh3+
34.¤e2 ♜xg4+ 35.¤d3 ♜g6+ 36.e4 bxc6 37.¤d6 ♜e8 38.¤c4
¤d8 39.¤f4 ♜d7 40.¤e3 ♜e6+ 41.¤c3 ♜xa2 42.e5 ♜b8 0-1**

1963 წელს ვმონაწილეობდი მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე მოსკოვში. ტურნირი შვეიცარიული სისტემით გაიმართა. ერთ-ერთ ლიდერად თვლიდნენ ელენე რუბცოვას, რომელიც იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, ოლდა რუბცოვას ქალიშვილი. მე შევხვდი ელენეს და მოვუგე. ლიდერთა ჯგუფში ვიყავი.

ფინიშზე დაუჯერებელი რამ მოხდა. საათზე დროის კონტროლის ამონტურვამდე 2 წუთამდე მქონდა დარჩენილი და 40 სვლა გაკეთებული. თეთრებით მოთამაშე ჩემი მონინააღმდეგე 41-ე სვლაზე ფიქრობდა. აღმოჩნდა, რომ ჩემს საათზე, წუთების მაჩვენებელმა ისარმა ქვემოდან ისე გაუარა წითელ ისარს, რომ არ შეხებია. წითელი ისარი მარცხნივ აღმოჩნდა, წუთების მაჩვენებელი ისარი კი - მარჯვნივ, თუმცა ჩანდა, რომ დროის ამონტურვამდე წუთზე მეტი იყო დარჩენილი. მოვარდა მსაჯი და გამომიცხადა, წაგებად უნდა ჩაგითვალოთ. არანაირმა ახსნა-განმარტებამ არ გაფრა. დავწერე საჩივარი, რომელიც არავის განუხილავს. ამჟამად მექანიკურ საათებს რომ აღარ იყენებენ, ეს მისასალმებელია.

გთავაზობთ ელენე რუბცოვასთან ნათამაშებ პარტიას.

კახაბრიშვილი - ელენე რუბცოვა
მოსკოვი, 1963 წ.

1.e4 e5 2.♘f3 ♗c6 3.♘c3 ♗f6 4.d4 exd4 5.♗xd4 ♗b4 6.♗xc6
bxc6 7.♗d3 d5 8.exd5 cxd5 9.0-0 0-0 10.♗g5 ♗e6 11.♗b5 ♗e7
12.♗d4 ♘d7 13.♗e1 ♘ab8 14.b3 ♗g4? 15.♗xe7 ♘xd1 16.♗xd7
♗xd7 17.♗xd1 ♗e5 18.♗f4 ♘xd3 19.♗xd3 ♘b7 20.♗c6 ♘e8
21.♗e3 ♘f8 22.♗f1 a6 23.♗d3 ♘b6 24.♗e5 ♘d8 25.c4 d4
26.♗f3 ♘b7 27.♗xd4 1-0

საბჭოთა პერიოდში მოქადრაკეების ისეთი ასაკობრივი დაყოფა, როგორიც დღეს არის, არ არსებობდა. ტარდებოდა მოსწავლეთა პირველობები და ქალთა ტურნირები. ქალთა ტურნირებში მოსწავლეებს არ გვიშვებდნენ. ვ. გოგლიძემ ბევრი იბრძოლა და მიაღწია იმას, რომ 1963 წელს მისი მოსწავლეები დაგვიშვეს თბილისის პირველობაზე ქალთა შორის. მაშინ ცნობილი მოქადრაკეები იყვნენ: ქსენია გოგიავა, მზია ლოლიშვილი, ლუდმილა ბელოზეროვა, ლეილა ნაჯყებია, ნადია მანველოვა, მარინე ჩომახიძე, ნანა ჯანგველაძე, ცირა სამსონია, გულნარა ბუცხრიკიძე, თინა უორუოლაძე, მარინა სტატინიკოვა და სხვ. ვ. გოგლიძის ვარაუდი გამართლდა. მისმა მოსწავლეებმა ღირსეული წინააღმდეგობა გავუნიერ მეტოქე ქალებს. მე თბილისის ჩემპიონი გავხდი 1963 და 1965 წლებში.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მყავდა ისეთი მწვრთნელები, როგორებიც იყვნენ შოთა ინწკირველი და ვიქტორ გოგლიძე, ჭადრაკზე უზომოდ შეყვარებული, განათლებული და უმწიკვლო ადამიანები. ზოგიერთი ბავშვის მშობლისაგან გამიგონია: „ძვირი გვიჯდება ჭადრაკიო.“ ეს მაკვირვებდა. შ. ინწკირველსა და ვ. გოგლიძესთან ასეთი ურთიერთობა ნარმოუდგენელი იყო.

ერთხელ შ. ინწკირველს ჭადრაკის ფედერაციიდან დაავა-

ლეს, გაეხსნა დამატებითი ჯგუფები დამწყებთათვის და დაფინანსებას შეჰქირდნენ. ბატონმა შოთამ გახსნა ჯგუფები, დაიწყო მეცადინეობა. შემდეგ გაირკვა, რომ ვერ დააფინანსებდნენ და უთხრეს, შეეწყვიტა მეცადინეობა. ბატონმა შოთამ ვერ იყადრა ეთქვა, ჭადრაკზე შეყვარებული ბავშვებისთვის, წადით სახლებშიო და ათეულობით ბავშვი უფასოდ ამეცადინა მთელი წელი. ბატონი შოთა იყო ასევე პატრიოტი, იცავდა ქართული ენის სინმინდეს. იგი ამბობდა, რომ საჭადრაკო ტერმინი „პატი“ არასწორია, ქართველები „პათს“ უნდა ვიყენებდეთო.

მოგეხსენებათ, ტერმინი „შამათი“ არის არაბულიდან რუსულში შეტანილი ტერმინის „შახმატი“-ს ქართული ვარიანტი-შაჰმათი. ამოვარდა ბგერა „ჰ“, ბგერა „ტ“-ს ქართული შესატყვისია „თ“ და მივიღეთ შამათი. მარტას ქართველები მართას ვუწოდებთ, ტამარა ქართულად თამარია, ალმა-ატა - ალმა-ათაა და ა.შ. ქართულად ტერმინი „პათი“ ალბათ, უფრო სწორია.

იგი ხშირად გვიმეორებდა: „ჭადრაკი გვასწავლის პატი-ოსნად მოგებას და ღირსეულად წაგებას, მაშასადამე, მთელ ცხოვრებასო“.

1963 წელს საჭადრაკო სკოლას დაატოვებინეს საჭადრაკო კლუბის შენობა და ბესიკის ქუჩაზე მდებარე სპორტულ კომპლექსში გამოგვიყვეს ერთი დიდი ოთახი. პირობები გაგვიუარესდა. ამის შემდეგ წლების მანძილზე, სკოლამ რამდენჯერმე გამოიცვალა ადგილი. მეცადინეობები ტარდებოდა ცუდ პირობებში და ბოლოს, 90-იან წლებში, საერთოდ დაიხურა.

ვ. გოგლიძე ვერაზე ცხოვრობდა. მას ვერის პარქში ყოფნა უყვარდა, იჯდა სკამზე და ისვენებდა. ერთხელ რაღაც საქმეზე მოსწავლეებმა პარკში მივაკითხეთ. საქმეზე საუბარს რომ მოვრჩით, ხელი წინ გაიშვირა და გვითხრა: „ბავშვებო, იცოდეთ, ამ ადგილზე მალე ჭადრაკის სასახლე აშენდება“. მართლაც, 1973 წელს დამთავრდა ჭადრაკის სასახლის მშენებლობა. ის სწორედ იმ ადგილზე აშენდა, რომელზეც ვ. გოგლიძემ მიგვითითა.

ცნობილი უურნალისტისა და მოჭადრაკის თენგიზ გიორგაძის თქმით, ვ. გოგლიძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ჭადრაკის სასახლის მშენებლობის საქმეში. მან იარა ზემდგომ ორგანოებში, დაარწმუნა თანამდებობის პირები, რომ თბილის უნდა ჰქონოდა ჭადრაკის სასახლე. საბჭოთა პერიოდში წლები სჭირდებოდა ასეთი ნაგებობის აშენებას. 60-იან წლებში აშენების საკითხი უკვე გადაწყვეტილი ყოფილა, მაგრამ ვ. გოგლიძე ვერ მოესწრო იმ დღეს, როცა ჭადრაკის სასახლე საზეიმოდ გაიხსნა.

1964 წელს ზაფხულში მივემგზავრებოდით ტალინში, მოსწავლეთა საკავშირო III ზონალურ სპარტაკიადაზე. ვ. გოგლიძე ამ დროს საავადმყოფოში იწვა. ბავშვებმა შევკრიბეთ მანეთ-მანეთი, ვიყიდეთ ყურძენი და მოვინაზულეთ. ჩვენ რომ დაგვინახა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა. სექტემბერში ვ. გოგლიძე გარდაიცვალა.

საქართველოში ჭადრაკს საუკუნეების განმავლობაში თამაშობდნენ. უყვარდათ, უძღვნიდნენ ლექსებს. ჭადრაკი ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი გახდა საბჭოთა პერიოდში. 1957 წელს ვ. გოგლიძის მიერ გახსნილ ბავშვთა საჭადრაკო სპეციალიზებულ სკოლაში ასეულობით ბავშვი სწავლობდა. ჭადრაკის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო ნონა გაფრინდაშვილის, მაია ჩიბურდანიძის, ნანა ალექსანდრიასა და ნანა იოსელიანის წარმატებებმა. საქართველოში დღესაც არ განელებულა ინტერესი და სიყვარული ჭადრაკისადმი.

ვიქტორ გოგლიძემ და ბუხუტი გურგენიძემ დაამუშავეს სკანდინავიური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი: **1.e4 d5 2.exd5 ४f6 3.d4 ४xd5 4.c4 ४b6 5.४f3 g6** და ა.შ. 1951 წელს მოსკოვში გამოცემულ ნიგბში ვ. პანოვ „Курс дебютов“, 142 -ე გვერდზე წერია: „За последние годы грузинскими шахматистами разработана система контригры, напоминающая защиту Грюнфельда. После ходов 2.... ४f6 3.d4 ४xd5 4.c4 ४b6 5.४f3 (или 5.४c3) черные играют 5.... g7-g6, создавая в дальнейшем фигуранное давление на центральные пешки белых“. შემდეგ მოყვანილია ტალი - გურგენიძის პარტია, რომელიც გათამაშდა 1959 წელს:

1.e4 d5 2.exd5 ♜f6 3.d4 ♜xd5 4.c4 ♜b6 5.♗c3 g6 (Заслуживает внимания ход Вальтера 5...e5, и если 6.dxe5, то 6.... ♜xd1+ 7.♗xd1 ♜c6 8.f4 ♜b4+ 9.♗f2 ♜e6 10.b3 0-0-0 с хорошей игрой и инициативой у черных взамен пешки) **6.♗e3 ♜g7 7.h3 0-0 8.♗f3 ♜c6 9.♗e2 e5 10.d5 ♜e7 11.0-0 h6.** Здесь вместо **12.♘d2**, следовало играть **12.♗c5**, подготовляя прорыв d5-d6 .

1980 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნში ვ.И.Панов, Я.Б. Эстрин „Курс дебютов“, გვ. 200, წერებ: „Интересен следующий вариант, напоминающий защиту Грюнфельда.“ ქართული კვალი საერთოდ ნაშლილია, ტალი-გურგენიძის პარტიაც ამოღებულია.

ნუთუ არ შეიძლება, რომ ამ ვარიანტს ეწოდოს „სკანდინავიური დაცვის“ ქართული ვარიანტი? ხომ არის ესპანურ პარტიაში: ბერლინის დაცვა, სტეინიცის დაცვა და ა. შ.

ვ. გოგლიძემ ეს ვარიანტი მოსწავლებს შეგვასწავლა. მე ბევრი პარტია მაქვს შავებით ნათამაშები და მოგებული, მაგრამ სამწუხაროდ, ჩანაწერები არ შემინახავს. ვ. გოგლიძის მოსწავლემ ვიოლეტა კუპრაშვილმა (მან 1968 წელს გამოსცა წიგნი „ჭადრაკის სამყაროში“) შავებით ჩემ წინააღმდეგ ქართული ვარიანტი გამოიყენა. გთავაზობთ ამ პარტიას:

კახაბრიშვილი- კუპრაშვილი თბილისის პირველობა, 1963 წელი

1.e4 d5 2.exd5 ♜f6 3.d4 ♜xd5 4.c4 ♜b6 5.♗c3 g6 6.h3 ♜g7 7.♗e3 ♜c6 8.♗f3 0-0 9.♘d2 e5 10.d5 ♜e7 11.g4 ♜d7 12.0-0-0 b6 13.♗h6 f5 14.♗xg7 ♜xg7 15.♗g2 ♜g8 16.g5 ♜e8 17.h4 ♜b8 18.♗b5 a6 19.♗a7 ♜b7 20.♗c6 ♜xc6 21.dxc6 ♜c5 22.♘e3 ♜e7 23.♗he1 ♜bd8 24.♗xd8 ♜xd8 25.♗xe5 ♜f8 26.♗d1 ♜e7 27.♗d7+ ♜xd7 28.cxd7 ♜d8 29.♗c6 ♜f7 30.♗e1 ♜xd7 31.♗xd7 ♜xd7 32.♗d2 ♜f7 33.♗d8+ ♜g7 34.♗d5 ♜xd5 35.cxd5 ♜f7 36.♗d2 h6 37.♗d3 hxg5 38.hxg5 ♜e7 39.♗d4 ♜e8 40.♗xe7+ ♜xe7 41.♗e5 შავები დანებდნენ.

საჭადრაკო სკოლას ჰქონდა თეორიული ბაზა. დამუშავებული იყო მოჭადრაკეთა მეცადინეობის 10 - წლიანი პროგ-

რამა. ეს პროგრამა მე შემომრჩა და გადავეცი თანამედროვე მწვრთნელებს. აღსანიშნავია, რომ დამწყებ მოჭადრაკებს სკოლაში გვათამაშებდნენ გამბიტებს, (თეთრებით) გვაჩვევ-დნენ მეფეზე შეტევას.

საჭადრაკო სკოლაში კვირაში 3-ჯერ გვქონდა მეცადი-ნეობა. კვირა დღეს ვთამაშობდით 3-საათიან საწვრთნელ პარტიას. ვ. გოგლიძე გვაკონტროლებდა, რომ გვეფიქრა და მოცემული დრო სრულად დაგვეხარჯა. გვიკრძალავდა ბლი-ცის თამაშს. მიაჩნდა, რომ სანამ ბავშვი არ მიეჩვევა ფიქრს, არ ჩამოყალიბდება მოჭადრაკედ, მანამ ბლიცის თამაში არ შეიძლება.

ვ. გოგლიძემ ჭადრაკის თამაში 17 წლის ასაკში დაიწყო. მიუხედავად ამისა, საქართველოს უპირველესი მოჭადრაკე გახდა. ცნობილია, რომ აკიბა რუბინშტეინი 14 წლის ასაკში გაეცნო ჭადრაკს, მაგრამ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე იყო. საჭადრაკო სკოლაში მოსწავლეთა ასაკი არ იყო შეზ-ღუდული. მე მეხუთე კლასიდან დავიწყე ჭადრაკის თამაში, სკოლაში ჩემზე უფროსებიც სწავლობდნენ.

1995 წელს ჭადრაკის სასახლეში აღინიშნა ვ. გოგლიძის დაბადების 90-ე წლისთავი. მოგონებებით გამოვიდნენ მისი თანამედროვენი. ერთმა ხანშიშესულმა კაცმა (სამწუხაროდ გვარიარ მახსოვეს) გაიხსენა: „სამამულო ომის დროს ტურნირში გავიმარჯვე, მაგრამ დახურვას ვერ დავესწარი, რადგან ფრონტზე გამიწვიესო“. ვ. გოგლიძეს გაურკვევია, რომელ ნაწილში მსახურობდა და სიგელი იქ გაუგზავნია. სიგელი ოფიციალურ ვითარებაში გადაუციათ. ჩაუმწკრივებიათ ჯა-რისკაცები, გამოუცხადებიათ: „ამ ჯარისკაცმა საჭადრაკო ტურნირში გაიმარჯვა და ახლა სიგელს გადავცემთო“. ამის შემდეგ ჯარისკაცები პატივისცემით მეპყრობოდნენო.

შ. ინწკირველი თვლიდა, რომ ვ. გოგლიძე იყო ქართული ჭადრაკის დედაბოძი. ვ. გოგლიძის ღვაწლი, მისი სახელი არ უნდა მიეცეს დავიწყებას. 1969 წლიდან 1990 წლამდე ტარდე-ბოდა მისი სახელობის მემორიალები. სასურველი იქნება, თუ მომავალშიც მისი სახელობის რომელიმე ტურნირი ჩატარდება.

სტუდენტობის წლები

ვ. გოგლიძის გარდაცვალების შემდეგ ჩვენთვის, მისი მოსწავლეებისათვის ცნობილი გახდა მისი ანდერძი. მას სურდა, რომ ჩვენ მეცადინეობა გაგვეგრძელებინა ოსტატ ალექსანდრე ბუსლაევთან. მე მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი ვიყავი. ჭადრაკის ფედერაციაში შემომთავაზეს სხვა მწვრთნელთან გადასვლა, მაგრამ უარით გავისტუმრე, ვ. გოგლიძის ანდერძს ვერ ვუღალატე. მამამ მომიწონა გადაწყვეტილება. ჩემს საქციელზე ჭადრაკის ფედერაციაში განაწყენდნენ და ალმაცერად დამიწყეს ყურება. მივედი ა. ბუსლაევთან თხოვნით, მივეღე მის ჯგუფში, მაგრამ მან უარი მითხრა: „შენი გულისთვის ჭადრაკის ფედერაციას ვერ გადავიმტერებო“. საქმე ის იყო, რომ ვ. გოგლიძე დაპირისპირებული იყო ჭადრაკის ფედერაციასთან შ. ინწკირველის მიერ გახსნილი ჯგუფების დაუფინანსებლობისა და ასევე, საჭადრაკო სკოლის საჭადრაკო კლუბიდან გამოსახლების გამო. (ეს, რაც ჩემთვის ცნობილია, სავარაუდოდ, სხვა მიზეზებიც იყო). ასე დავრჩი უმწვრთნელოდ ორი წლის განმავლობაში. 1966 წლის ბოლოს მე მივედი საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან მიხეილ შიშოვთან, რომელსაც ვ. გოგლიძე პატივს სცემდა და ვთხოვე, მივეღე თავის ჯგუფში. მან მიგვიღო მე და ნათელა ჩიქობავა, მოგვიანებით კი ციური კობაიძეც შემოგვიერდა.

1966 წელი ძალიან დატვირთული იყო ტურნირებით:

1. პირველად გავხდი საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის.

2. 1966 წელს საქართველოდან ოთხმა მონაწილემ მოვიპოვეთ უფლება გვეთამაშა სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალში. ნახევარფინალები ტარდებოდა ორ ქალაქში: კიევსა და ნოვოსიბირსკში. მე და ელისო კაკაბაძეს ნოვოსიბირსკში უნდა გვეთამაშა, ალა ჩაიკოვსკაიასა და ნანა ალექსანდრიას კი - კიევში. დამიბარეს ჭადრაკის ფედერაციაში და მომცეს კიევის მიმართულებით თვითმფრინავის ბილე-

თი, შენ კიევში უნდა ითამაშოო. კიევში ჩემი ჩასვლა ძალიან გაუკეირდათ, შენ აქრა გინდა, ნოვოსიბირსკში უნდა ჩასულიყავიო. მკითხველმა თვითონ განსაჯოს, როგორი განწყობა ჰქონდათ ჩემ მიმართ ჭადრაკის ფედერაციაში. ფაქტობრივად ტურნირის გარეშე ვრჩებოდი. მოხდა დაუჯერებელი რამ: კიევში არ ჩამოვიდა ერთი მონაწილე და მის ნაცვლად მე ჩამრთეს ტურნირში. გამახსენდა: „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“ (შოთა რუსთაველი).

კიევში თამაშები ფინიშს მიუახლოვდა. ერთი ვარიანტის თამაში მინდოდა, მაგრამ ქვევარიანტები კარგად არ ვიცოდი. ეს ნანა ალექსანდრიას ვუთხარი და ვკითხე, მას ხომ არ ჰქონდა ანალიზი ჩაწერილი. ნანაც თურმე ამ ვარიანტის თამაშს აპირებდა, მაგრამ რაკი მე მინდოდა, თქვა, სხვა ვარიანტს ვითამაშებო. რამდენიმე წუთში ვარიანტებით სავსე ას ფურცლიანი რვეული სასტუმროში, ჩემს ნომერში შემოიტანა და დატოვა. მე არ ვიტოვებდი, მაგრამ მან მაინც თავისი გაიტანა და დატოვა. ამ ეპიზოდს მუდამ მადლიერების გრძნობით ვიხსენებ.

3. ვსწავლობდი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ჩვენი ინსტიტუტის გუნდი გახდა საქართველოს ჩემპიონი უმაღლეს სასწავლებლებს შორის და ჩავერთეთ საკავშირო პირველობაზე. გუნდში თამაშის უფლება ჰქონდათ როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს. გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: რომან ჯინჯიხაშვილი, თემურ ლომაია, თამაზ კიკიანი, ალიკა ბოკუჩავა, მერაბ თხელიძე, ზურაბ მიქაელ და მე. ხარკოვში ჩატარებულ შესარჩევ ტურნირში გავიმარჯვეთ და გავემგზავრეთ მინსკში V საკავშირო სტუდენტურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი ძირითადი მეტოქე იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, რომელიც დიდოსტატებითა და ოსტატებით იყო დაკომპლექტებული. ჩვენმა ერთსულოვნებამ და მონდომებამ შედევი გამოიღო და პირველი ადგილი დავიკავეთ. გუნდს ხელმძღვანელობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი ჰენრიკ დაგბაშვილი, რომელმაც თა-

ვისი თბილი მოპყრობით სასიამოვნო განწყობა დაამკვიდრა გუნდში. გუნდის სული და გული იყო მერაბ თხელიძე. იგი თავისი ოპტიმიზმით, მხნე განწყობით, მსუბუქი იუმორით ყველას იმედით გვავსებდა, გვამხიარულებდა. ბოლო გადამ-წყვეტ ტურში მან წარტია გადაარჩინა, ყაიმით დაამთავრა და ოქროს მედლები მოგვაპოვებინა. საქართვე-ლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი უმაღლეს სასწავლებლებს შორის.

ხარკოვიდან მინსკში გამგზავრებისას მოხდა ასეთი ფაქ-ტი: მატარებლის გასვლას წუთები აკლდა და გუნდის ერთი წევრი არსად ჩანდა. არ ვიცოდით, სად იყო, რა შეემთხვა. აუცილებელი იყო გუნდის ერთი წევრი დარჩენილიყო მის მოსაძებნად. როცა დაისვა კითხვა, თუ ვინ დარჩებოდა, რო-მან ჯინჯიხაშვილმა უყოყმანოდ თქვა, მე დავრჩებიო. გუნდ-ში მასზე უფროსებიც იყვნენ და მათ უფრო შეეფერებოდათ დარჩენა, მაგრამ თავი შეიკავეს. როცა რომა თამაშობდა გუნდში, მისი იმედი გვქონდა ნებისმიერ საკითხში. იგი იყო უღალატო, კარგი მეგობარი. საბედნიეროდ, გუნდის დაკარ-გული წევრი მატარებლის გასვლამდე გამოჩნდა და ყვე-ლაფერი კარგად დამთავრდა.

4. საბჭოთა პერიოდში ორ- სამ წელიწადში ერთხელ ტარ-დებოდა სპორტული საზოგადოებების საკავშირო გუნდური პირველობა ჭადრაკში. სპორტული საზოგადოება რომელ ადგილსაც დაიკავებდა, იმის მიხედვით იღებდა დაფინანსე-ბას. ამიტომ ყველა საზოგადოება ცდილობდა ძლიერი მო-ჭადრაკებით დაეკომპლექტებინა გუნდი. მოჭადრაკებს გა-დაიბირებდნენ ხოლმე, სთავაზობდნენ დიდ ხელფასს, რათა მათი სახელით გამოსულიყვნენ. თითქმის ყველა მოჭადრაკე თავისი სპორტული საზოგადოებიდან იღებდა ხელფასს და ფაქტობრივად ეს იყო მათი შემოსავლის ძირითადი წყარო. თუ მოჭადრაკე შედეგს ვეღარ აჩვენებდა, მას სტიპენდიას უხსნიდნენ. გუნდის შემადგელობა ასეთი იყო: 5 ვაჟი, 2 ჭაბუ-კი, 2 ქალი და ერთი გოგონა.

მე გახლდით სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის“

(„ქარიშხალას“) წევრი. როგორც კი სტუდენტი ხდებოდი, ამ საზოგადოებაში გაწევრიანებდნენ. მოსკოვიდან დამირე-კეს და შემომთავაზეს გამევლო საწვრთნელი შეკრება „ბუ-რევესტნიკის“ ნაკრები გუნდის სხვა წევრებთან ერთად. შეკრება ტარდებოდა ბაკოვკაში. ეს იყო მოსკოვთან ახლოს მდებარე მეცნიერთა დასასვენებელი ადგილი, ხისფერად-ფე-რადი ზღაპრული სახლებით. გუნდში გოგონათა დაფაზე თამაშის სამი კანდიდატი ვიყავით: მოსკოველი ვერა სტერ-ნინა, ლენინგრადელი ტატიანა შიროკობრიუხოვა და მე. რო-მელს უნდა გვეთამაშა, ამის გადაწყვეტა მიანდეს დიდოსტატი. ბოლესლავსკის, რომელიც გოგონებს გვამეცადინებდა. ზუსტად 12 საათზე, შემოდიოდა დარბაისელი, პატივსაცემი ადამიანი, დიდი მოჭადრაკე და ვიწყებლით მეცადინეობას. მე არ მქონდა იმედი, რომ მათამაშებდნენ. მეგონა, რომ უპი-რატესობას მოსკოველ ან ლენინგრადელ მოჭადრაკეს მიანი-ჭებდნენ, მაგრამ შევცდი. ი. ბოლესლავსკიმ გაარჩია ჩვენი ნათამაშები პარტიები, გვაკვირდებოდა, მეცადინეობისას გვისვამდა კითხვებს და გადაწყვიტა, რომ მე უნდა მეთამა-შა. (ი. ბოლესლავსკის ალბათ ისიც ახსოვდა, ერთი თვის წინ მინსკში გამართულ უმაღლესი სასწავლებლების საკავ-შირო პირველობაზე მისი გუნდის წევრი, ცნობილი ოსტატი ნ. კონოპლიოვა ძლივს რომ გადარჩა ჩემთან წაგებას). მე მისი იმედები გავამართლე, 9 შესაძლებლობიდან $6\frac{1}{2}$ ქულა მოვაგროვე, რაც კარგ შედეგად ჩამითვალეს. ჩვენს გუნდში თამაშობდნენ: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი, დი-დოსტატები: ი. ბოლესლავსკი, მ. ტაიმანოვი, ლ. პოლუგაევს-კი, ოსტატები: ა. ნიკიტინი და ა. ბიხოვსკი, ჭაბუკთა დაფებზე: ვ. ტუკმაკოვი და ნ. რაშკოვსკი, ქალთა დაფებზე - ნონა გაფ-რინდაშვილმა ითამაშა 1 პარტია და გაემგზავრა საზღვარ-გარეთ ტურნირზე, ის შეცვალა ტატიანა ზატულოვსკაიამ. ქალთა მეორე დაფაზე თამაშობდა თ. გოლოვეი, გოგონათა დაფაზე კი - მე. ერთ-ერთი მწვრთნელი იყო ლენინგრადელი ოსტატი ე. სტოლიარი.


თენგიზ გიორგაძის მიერ გამოცემულ წიგნში „ქართული ჭადრაკის მატიანე“, ტ. I, გვ. 142, არასრული ინფორმაციაა. წერია, რომ 1966 წელს მარტო ნონა გაფრინდაშვილი თა-მაშობდა საქართველოდან სპორტსაზოგადოება „ბურევესტ-ნიკის“ სახელით. (ითამაშა ერთი პარტია) მე საერთოდ არ ვარ ნახსენები.

ბაკოვეკაში ზოგიერთ მოჭადრაკეს ცოლიც ჰყავდა წამოყვანილი. განსაკუთრებით თბილი და ყურადღებიანი ქალბატონი იყო ვ. სმისლოვის მეუღლე. ერთხელ ფრენბურთის თამაშის შემდეგ სკამზე ჩამოვჯექი, მოვიდა და თავისი უაკეტი მომახურა. არ გაცივდე, შენი გაციება ახლა არ შეიძლება.

მახსოვს, თ. გოლოვეის დაბადების დღეზე ვ. სმისლოვმა იმღერა შესანიშნავად. მას თურმე არჩევანი ჰქონია, შეეძლო მომლერალი გამოსულიყო, მაგრამ ჭადრაკი აირჩია.

ბედნიერი ვიყავი, რომ ვთამაშობდი ასეთი დიდი მოჭადრაკეების გვერდით, ახლოს გავიცანი ისინი, ვესწრებოდი ი. ბოლესლავსკის გაკვეთილებს. ეს მოგონება არასოდეს და-მავიწყდება. ერთ პარტიაში მოწინააღმდეგეს მახე დავუგე, რომელშიც გაება. ეს კომბინაცია ე.სტოლიარს ისე მოეწონა, რომ მ. ტაიმანოვთან წამიყვანა და აჩვენა. გთავაზობთ პარტიის ამ ფრაგმენტს:

კალასი - კახაბრიშვილი



1...f6 2.exf6 ♜xd6 3.fxe7 ♜xd1+ თეთრები დანებდნენ

5. საბჭოთა კავშირის საჭადრაკო პირველობის ფინალური ტურნირი ქალთა შორის ჩატარდა კიევში. საქართველოდან ვმონაწილეობდით: ელისო კაკაბაძე, ალა ჩაიკოვსკაია, ნანა ალექსანდრია და მე. ძალიან არ გამიმართლა. ტურნირი ახალი დაწყებული იყო, რომ შემხვდა ვირუსული გრიპი (მაშინ ასე ერქვა), მაღალი სიცხით, ცხვირიდან სისხლდენით. ორი ტური გავაცდინე. მეტის გაცდენა აღარ შეიძლებოდა და სასტუმროში მათამაშეს. შემდეგ უკვე დარბაზში უნდა მეთამაშა. ძალიან ცუდად ვიყავი და მინდოდა გავსულიყავი ტურნირიდან. ჩემმა მნვრთნელმა მ. შიშოვმა ამის ნება არ მომცა. მალე გამოჯანმრთელდები, ჩვენი ქალები საპრიზო ადგილებისთვის იპროცესი და მონინაალმდეგები უნდა ჩამოაშოროო. „Ты у нас ударная сила“, - ასე მითხრა მან. ერთ-ერთი ლიდერი იყო მურა კისლოვა. VIII ტურში მას ვხვდებოდი. საგანგებოდ მომამზადეს. მ. შიშოვმა მითხრა: „მაგათ შენი პარტიები გარჩეული ექნებათ, ამიტომ ისეთი დებიუტი ითამაშე, ჯერ რომ არ გითამაშიაო“ და შემომთავაზა ინგლისური დასაწყისი თეთრებით. მე უკვე სიცხე აღარ მქონდა, თუმცა საკმაოდ დასუსტებული ვიყავი. ლიდერთან პარტია ყაიმით დავამთავრე. ნანა ალექსანდრია გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მ. კისლოვა მას ნახევარი ქულით ჩამორჩა.

1967 წელს საქართველოს ნაკრები ემზადებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის. საწვრთნელი შეკრება ჩატარდა ესტონეთის ქალაქ პიარნუში. პიარნუ წყნარი და ლამაზი ქალაქია ორსართულიანი სახლებით. ქუჩაში ხალხი ველოსიპედებით გადაადგილდებოდა. ცენტრალურ პარკში ციყვები ბინადრობდნენ და მათ ხელს არავინ ახლებდა. ვიქირავეთ რამდენიმე სახლი სხვადასხვა ქუჩაზე. იმ სახლის წინ, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, მდებარეობდა პატარა სტადიონი, სადაც 10-11 წლის ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. ვუყურეთ რამდენიმე დღე და ჩვენც მოგვინდა ფეხბურთის თამაში. შედგა „მატჩი“: საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები - პიარნუს ბიჭების ნაკრები. ჩვენს გუნდში ზოგიერთი მოჭადრაკის ცოლიც თამაშობდა. პატარა ბიჭები დიდი ანგარიშით დავამარცხეთ. ამ მატჩს ბუხუტი გურგე-

ნიძე ესწრებოდა. მან თქვა: „ეს ბავშვები ძალიან დაჩაგრეთ, ამიტომ გუნდის გასაძლიერებლად მეც მათთან ვითამაშებონ“. დავიწყეთ თამაში. არ გაუვლია 3 წუთს, რომ ბუხუტიმ დაარტყა ბურთს და სახეში მოახვედრა ალა ჩაიკოვსკაიას. ალამ ტირილი დაიწყო და წავიდა სახლში კომპრესების დასადებად. გავაგრძელეთ თამაში. არ გაუვლია 2 წუთს, რომ ბუხუტის დარტყმული ბურთი ახლა მე მომხვდა სახეში. სახის მარცხენა მხარე თითქოს გამიქვავდა, შეგრძნების უნარი აღარ მქონდა. მე ტირილი არ დამიწყია, მაგრამ თამაში მივატოვე. მატჩი ჩაიშალა. რამდენიმე დღე მე და ალა ჩაიკოვსკაია ჩალურჯებული თვალებით დავდიოდით.

საქართველოს პირველობები ქალთა შორის სხვადასხვა ქალაქში ტარდებოდა ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით. ყველგან პატივს გვცემდნენ, ქართული სტუმართმოყვარეო-



საქართველოს ჩემპიონატი.

მარცხნიდან: ციური სიორდია, სვეტლანა ივანოვა, ეთერი ლომიძე, კლარა პილცერი, მანანა სანაძე, ქსენია გოგიავა, ციური კობაიძე, სალო ფლორი, ნანა ალექსანდრია, მაქს ეივე, ლალი კოროშინაძე, მარინე ჩომახიძე, ციცინო კახაბრიშვილი და ნათელა ჩიქობავა.

დუშეთი, 1968

ბით გვხვდებოდნენ, მაგრამ ყველანი იმ აზრზე შევჯერდით, რომ დუშეთში ჩვენ მიმართ გამოხატულმა სიყვარულმა ყველას გადააჭარბა. ქუჩაში რომ მივდიოდით, შემთხვევით ნასვამი კაცი რომ შეგვხვედროდა, გზის დათმობა არ შეეძლებოდა. ერთხელ სადილობისას, კოვზის გარეცხვა მინდოდა და წყალი არ მოდიოდა. მზარეულმა ქალმა მითხრა: „მომეცი გენაცვალე, რძით ვერ გაგირეცხავო?“ საერთოდ, „გენაცვალეს“ გარეშე სიტყვას არ იტყოდნენ.

დუშეთის ხინკალი განთქმულია საქართველოში, ამიტომ ძალიან გვინდოდა გემო გაგვესინჯა. სასტუმროსთან ახლოს იყო სახინკლე. მაშინ ქალების სახინკლეში შესვლა არ იყო მიღებული, მაგრამ ბევრნი რომ ვიყავით, გავპედეთ და შევედით. ავიღეთ ხინკლები და რომ ვიკითხეთ, რამდენი გადაგიხადოთ, გვითხრეს: გადახდილიაო. ვინ გადაიხადა ვერ გავიგეთ. ხინკალი ძალიან მოგვეწონა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შევედით სახინკლეში. ისევ გვითხრეს: გადახდილიაო. ამის შემდეგ აღარ შევსულვართ, მოგვერიდა. დუშეთში სტუმრად გვეწვია მსოფლიოს ექს - ჩემპიონი ჰოლანდიელი დიდოსტატი მაქს ეივე მეუღლესთან ერთად. ის თბილისში ჩამოსულა და რომ გაუგია, მოჭადრაკე ქალები დუშეთში თამაშობენო, ჩვენი გაცნობა მოუსურვებია. დასვენების დღე გვქონდა. ყველანი წაგვიყვანეს ბაზალეთის ტბაზე. მ. ეივე და მისი მეუღლე ნავებით ასეირნეს, პატივი სცეს. გადავიღეთ სამახსოვრო სურათები.

ერთ - ერთ ქალაქში გამართულ საქართველოს პირველობაზე თამაშის დროს, როცა სვლაზე ვფიქრობდი, თავში რაღაც მომხვდა. ეს იყო პატარა ზომის მაგნიტი, 3 მეტრის მანძილიდან ძლიერად ნასროლი. ოდნავ ასცდა საფეთქელს. მესროლა მაყურებელმა, ჩემი მოწინააღმდეგის ნათესავმა. ძალიან მეტკინა. ეს იყო გათვლილი იმაზე, რომ მე დავბრეულიყავი და კარგად ვეღარ მეთამაშა. მაგრამ ასე არ მოხდა. პარტია გადაიდო ჩემთვის მოსაგებ პოზიციაში. სასტუმრომდე მსაჯებმა მიმაცილეს, რომ გზაში თავს არავინ დამსხმოდა.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თამაშის დროს ვისთან ერ-

თად ცხოვრობ ოთახში. ხშირად ვყოფილვარ სასტუმროს ერთ ნომერში ნინო ხუბულურთან ან მარგალიტა (ლელა) თანდაშვილთან. ისინი ძალიან მეხმარებოდნენ, უხაროდათ ჩემი წარმატება. მათთან ერთად გატარებულ დროს სიამოვნებით ვიხსენებ.

1968 წელს თბილისში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ვთამაშობდით რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში. დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. ვხვდებოდი უნგრელ საერთაშორისო ოსტატ უუჟა ვერეცის. გთავაზობთ ამ პარტიას:


ვერეცი - კახაბრიშვილი საერთაშორისო ტურნირი, თბილისი, 1968 წ.

1.e4 c6 2.♘c3 d5 3.♗f3 dxe4 4.♗xe4

მ. შიმოვის რჩევით, შავებით კარო-კანის დაცვაში **4. ... ♜g4-** ის ნაცვლად ვითამაშე **4. ... ♜f5.** ასე მირჩია: „შენ რომ მაგას თეორიულ ვარიანტში გაჰყვე, გაჯობებსო. ამიტომ, აურიე, არათეორიულად ითამაშე და დაიბნევაო“.

4. ... ♜f5 5.♗g3 ♜g6 6.h4 h6 7.♗e5 ♜h7 8.♗f3 ♜f6 9.♗b3

ამ ჩემმა არათეორიულმა თამაშმა ის მომიტანა, რომ მეცხრე სვლაზე **9.♗b3**-ის შემდეგ წასაგები პოზიცია მივიღე. ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის. თამაშის დაწყებიდან 10 წუთიც არ იყო გასული. ვფიქრობდი, რომ დავნებებოდი, ხალხი რას იტყოდა. შოკში ვიყავი. რამდენიმე წუთი ვარიანტებზე არ მიფიქრია, „ეს რა დამემართა“, „ეს რა დამემართას“ ვიმეორებდი გულში.



შემდეგ მოვიკრიბე ძალა და დავიწყე გამოსავლის ძებნა. 40 ნუთი ვიფიქრე და რაღაც გზას მივაგენი. თამაში აირია, მოწინააღმდეგებ ვერ მოძებნა საუკეთესო სვლები და გამარჯვება მე დამრჩა.

9... $\mathbb{W}d5$ 10. $\mathbb{W}xb7$ $\mathbb{W}xe5+$ 11. $\mathbb{H}e2$ e6 12. $\mathbb{W}xa8$ $\mathbb{W}c7$ 13.a4 $\mathbb{H}d6$ 14.a5
 0-0 15.a6 $\mathbb{Q}xa6$ 16. $\mathbb{W}xf8+$ $\mathbb{Q}xf8$ 17. $\mathbb{B}xa6$ $\mathbb{Q}xg3$ 18.0-0 $\mathbb{H}d6$ 19.d4
 $\mathbb{Q}xc2$ 20. $\mathbb{H}e3$ $\mathbb{Q}g8$ 21. $\mathbb{B}fa1$ $\mathbb{H}f4$ 22. $\mathbb{B}xf4$ $\mathbb{W}xf4$ 23. $\mathbb{B}xc6$ $\mathbb{H}e4$ 24. $\mathbb{B}c8+$
 $\mathbb{Q}h7$ 25. $\mathbb{B}c3$ $\mathbb{W}xh4$ 26. $\mathbb{B}xa7$ $\mathbb{H}g6$ 27. $\mathbb{B}a4$ $\mathbb{Q}g4$ 28. $\mathbb{H}xg4$ $\mathbb{W}xg4$ 29. $\mathbb{B}ac4$
 $\mathbb{W}e2$ 30.b4 $\mathbb{W}e1+$ 31. $\mathbb{Q}h2$ $\mathbb{W}xf2$ 32.b5 $\mathbb{H}e4$ 33. $\mathbb{B}g3$ $\mathbb{W}b2$ 34. $\mathbb{B}c7$ $\mathbb{H}g6$
 35. $\mathbb{B}b7$ $\mathbb{W}xd4$ 36.b6 $\mathbb{W}b4$ 37. $\mathbb{B}h3$ $\mathbb{W}f4+$ 38. $\mathbb{Q}g1$ $\mathbb{H}e4$ 0-1.

მ. შიშოვმა დამაწყებინა თეთრებით ინგლისური დასაწყისის თამაში. ინგლისურ დასაწყისში უფრო მეტი შესაძლებლობაა საკუთარი შემოქმედებისთვის, იმდენად არა ხარ დამოკიდებული თეორიულ ვარიანტებზე. ამისთვის მე მისი ძალიან მადლობელი ვარ. თუ პარტიას წავაგებდით, გვამხნევებდა, გვეუბნებოდა: „Все потерено - ничего не потерено, мужество потерено - все потерено“. იგი ჩემ მეხსიერებაში დარჩა, როგორც უაღრესად გულთბილი, ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი, ძლიერი მოჭადრაკე.

1968 წელს კიევში ჩატარდა სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო გუნდური პირველობა. ვაჟები და ქალები ერთ გუნდში ვიყავით. თ. ხმიადაშვილი და



მარცხნიდან: ციცინო კახაბრიშვილი, ციური კობაიძე,

თამარ ხმიადაშვილი და ნათელა ჩიქობავა

თბილისი, 1969

მე ქალების დაფაზე ვთამაშობდით, ნინო ხუბულური კი - გოგონების დაფაზე. ვცხოვრობდით სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. თამაშები დილის საათებში გვქონდა. დღის მეორე ნახევარში რა გვეკეთებინა აღარ ვიცოდით. მე და ნინო წავედით ზოოპარკის დასათვალიერებლად. ზოოპარკში პატარა საცირკო წარმოდგენებიც იმართებოდა. გამოიყვანეს გერმანული ნაგაზი და გამოაცხადეს: „ამან ათის ფარგლებში ოთხივე არითმეტიკული მოქმედება იცისო, კითხვები დაუსვითო.“ მაყურებლებმა დაუსვეს კითხვები. ნაგაზი სწორად „პასუხობდა.“ პასუხი რა რიცხვიც იყო, იმდენჯერ ყეფდა. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ უშვებდნენ ხმოვან სიგნალებს, რომლებიც ადამიანის ყურისთვის მიუწვდომელი იყო, ნაგაზი კი იგებდა და რამდენ სიგნალსაც გაუშვებდნენ, იმდენჯერ ყეფდა. ეს იყო ამ წარმოდგენის საიდუმლო.

მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ კიევში გერმანელებმა მოძებნეს უკრაინელი ფეხბურთელები და აიძულეს ეთამაშათ მატჩი ოკუპანტებთან. წინასწარ გააფრთხილეს, რომ თუ მატჩის მოიგებდნენ, ყველას დახვრეტდნენ. მატჩი მიმდინარეობდა წესების დარღვევით, მსაჯი არაობიექტური იყო. მიუხედავად ამისა, უკრაინელმა ფეხბურთელებმა მოიგეს მატჩი. ყველანი დახვრიტეს. ომის შემდეგ უკრაინელმა ხალხმა ძეგლი დაუდგა თავის ფეხბურთელებს. ტურნირის მონაწილე მოჭადრაკებმა მოვინახულეთ ეს ძეგლი.

1969 წელს ვთამაშობდი უჟგოროდში, საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალში. უჟგოროდი უკრაინის საზღვრისპირა კოხტა ქალაქია. ბოლო ტურში ვხვდებოდი ტატიანა ზატულოვსკაიას, უძლიერეს მოჭადრაკეს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონსა და მრავალგზის პრიზიორს. ტატიანა თუ მომიგებდა, I ადგილზე გადიოდა, ყაიმის შემთხვევაში 1-2 ადგილებს ტ. ზატულოვსკაია და ლიდია სემიონოვა იყოფდნენ. ჩვენი პარტიით ძალიან დაინტერესებული იყო ლ. სემიონოვა. იგი ცხოვრობდა ქ. კიევში, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. მას შეპირდნენ, რომ თუ უჟგოროდში I ადგილს

დაიკავებდა, ან გაიყოფდა, ბინას მისცემდნენ, როგორც პერ-სპექტიულ მოჭადრაკეს.

ვთამაშობდი შავებით. პარტიის ბოლოს ორივე ცაიტ-ნოტში აღმოვჩნდით. პარტია გადაიდო. ზატულოვსკაიას მოთხოვნით გადადებული პარტიის დამთავრება დაინიშნა მეორე დღის დილის ცხრა საათზე. ტურნირის დახურვა საღამოს უნდა ყოფილიყო, ამიტომ აუცილებელი არ იყო ასე ადრე დაგვეწყო თამაში. მან გათვალა, რომ შეიძლებოდა ვერ მომესწრო გადადებული პარტიის გარჩევა, კარგი იქნებოდა, თუ ამ გადაწყვეტილებით გამანერვიულებდა, ასე ადრე თამაშს არ ვიყავი მიჩვეული და სხვ. (მე ტ. ზატულოვსკაიას კიდევ ბევრჯერ შევხვდი. ის იყო მოთამაშე, რომელსაც ბევრი რამის კადრება შეეძლო თამაშის დროსაც და თამაშის შემდეგაც. მასთან რამდენიმე პარტია ყაიმით დავამთავრე, 1976 წელს ძლივს გადარჩა ნაგებას, ბოლო შეხვედრა კი მოვუგე).

დღის 9 საათზე სასტუმროში, ტ. ზატულოვსკაიას ნომერში რომ მივედი, მსაჯის გარდა იქ დამხვდნენ ლ. სემიონოვა და ადგილობრივი სპორტკომიტეტის ნარმომადგენელი. მათ ისე აინტერესებდათ პარტიის შედეგი, რომ დასწრება გადაწყვიტეს. გაკეთდა სულ 3 სვლა და ყაიმზე შევთანხმდით. მივულოცე ლ. სემიონოვას 1-2 ადგილების გაყოფა, რაზეც ტ. ზატულოვსკაიამ ირონით მითხრა: „Ты такая добрая“? გთავაზობთ ამ პარტიას:

ზატულოვსკაია - კახაბრიშვილი

სსრკ ჩემპიონატის ნახევარფინალი, უჯგოროდი, 1969 წ.

1.e4 c5 2.f4 e6 3.¤c3 ¤c6 4.¤f3 ¤ge7 5.d4 cxd4 6.¤xd4 d5 7.¤b5
¤d7 8.exd5 ¤xd5 9.¤xd5 exd5 10.0-0 ¤e7 11.¤h1 0-0 12.¤f3
¤f5 13.¤e3 ¤f6 14.c3 ¤d6 15.¤d2 ¤fd8 16.¤ad1 ¤c7 17.¤f2 b6
18.¤d4 ¤xd4 19.¤xd4 ¤xd4 20.¤xd4 ¤d6 21.¤fd1 ¤e4 22.¤d3
¤xd3 23.¤1xd3 ¤e8 24.h3 h6 25.a3 ¤e4 26.¤f3 ¤f6 27.¤xe4 dxe4
28.¤xe4 ¤xf4 29.¤d8+ ¤xd8 30.¤xf4 ¤d7 31.¤h2 h5 32.c4 ¤e7
33.b4 h4 34.¤b8+ ¤h7 35.¤f4 g5 36.¤f5+ ¤h6 37.¤d5 f6 38.c5
bxc5 39.bxc5 ¤e3 40.¤d6 ¤c3 41.c6 ¤g6 42.c7 a6 43.¤e7 ¤h6
½-½

უუგოროდში თამაშობდა მოსკოველი ოსტატი კლარა სკე-
გინა. იგი ძლიერ მოჭადრაკედ ითვლებოდა, 1967 წლის საბჭო-
თა კავშირის პირველობის პრიზიორი იყო. უუგოროდში თამა-
ში არ გამოუვიდა. ბევრი პარტია წააგო, მათ შორის ჩემთანაც.
მე მასთან ვმეგობრობდი. მეუბნებოდა: ასე ცუდად რომ ვთა-
მაშობ სტიპენდიას მომიხსნიან, მე სხვა არაფერი ვიცი, რა
მეშველება, წყალში უნდა გადავვარდეო. მის საცოდაობას
რომ ვუყურებდი, გადავწყვიტე, არ ვყოფილიყავი პროფე-
სიონალი მოჭადრაკე და მემუშავა ჩემი სპეციალობით.

მინდა რამდენიმე პარალელი გავავლო როგორი დამოკი-
დებულება იყო ჭადრაკისადმი საბჭოთა კავშირის პერიოდში
და რა ხდება დღეს.

მაღალი ტრიბუნიდან არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ
საბჭოთა კავშირში №1 სპორტი იყო ჭადრაკი. ტურნირზე
გამგზავრებისა და სასტუმროს ხარჯებს სახელმწიფო აფი-
ნანსებდა. 1980 წლამდე შეჯიბრების დროს მოჭადრაკეებს
აძლევდნენ დღეში 2 მანეთისა და 50 კაპიკის ღირებულების
კვების ტალონებს. ეს საკმარისი არ იყო, განსაკუთრებით
მამაკაცებისათვის. საქართველოს პირველობებსა და საკავ-
შირო ტურნირებზე ბევრჯერ დამიკავებია საპრიზო ადგი-
ლი. პრიზებად გვაძლევდნენ მაგიდის საათებს, ლარნაკებს,
თასებს და სხვ. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ვარ
და მხოლოდ ერთი მედალი მაქვს. 80-იანი წლებიდან დაიწ-
ყეს სპეციალური მედლების გამოშვება საქართველოს ჩემ-
პიონატებში გამარჯვებულთათვის. გერმანიის ქ. ჰალეს
საერთაშორისო ტურნირში II ადგილი დავიკავე და ჯილდოდ
მომცეს 200 მარკა. წამყვან მოჭადრაკეებს დანიშნული ჰქონ-
დათ სტიპენდია. თუ მოჭადრაკე შედეგს ვეღარ აჩვენებდა,
სტიპენდიას უხსნიდნენ და ისინი სავალალო მდგომარეობა-
ში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ჭადრაკის მწვრთნელის ადგი-
ლი კი ძნელი მოსაძებნი იყო. მაშინ თითებზე დასათვლელი
იყო სპორტული წრეები, საშუალო სკოლებში ჭადრაკს არ
ასწავლიდნენ. მწვრთნელებს დაბალი ხელფასი ჰქონდათ.
საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა პირად

საუბარში მითხრა, ბავშვი მუსიკაზე დამყავს და ინსტრუმენტი ვერ მიყიდიაო. ახლა სკოლებში ჭადრაკის გაკვეთილები ტარდება, ან ჭადრაკის წრეები ფუნქციონირებს.

მოჭადრაკეთა მწირი დაფინანსების შესახებ პირველად ხმა ამოიღო ამერიკელმა მსოფლიო ჩემპიონმა რობერტ ჯე-იმს ფიშერმა. საბჭოთა მოჭადრაკები ამას როგორ გაძედავ-დნენ. 1990 წელს მსოფლიო პირველობაზე კასპაროვ-კარპოვის მატჩის საპრიზო ფონდი 2 მილიონ დოლარს შეადგენდა.

1980 წლიდან მოჭადრაკეთა კვების ტალონების ფასი 7 მანეთი და 50 კაპიკი გახდა. სახელოვანი მოჭადრაკეების მე-მორიალებში, რომელსაც რესპუბლიკები ატარებდნენ, ფუ-ლადი პრიზებიც დაწესდა: I ადგილი - 250 მანეთი, II ადგილი - 200 მანეთი და III ადგილი - 150 მანეთი.

ახლა საქართველოს ჩემპიონს 5 000 ლარს გადასცე-მენ. საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ათასო-ბით დოლარს იღებს. მაგრამ მოჭადრაკე ან თავისი ხარჯით მიემგზავრება ტურნირზე, ან სპონსორს ეძებს.

საბჭოთა პერიოდში საინფორმაციო საშუალებები ფარ-თოდ აშუქებდნენ სპორტის სიახლეებს. არსებობდა სატელე-ვიზიონ საჭადრაკო ჟურნალი „სამორინე“. მოსახლეობა სახე-ზე ცნობდა მოჭადრაკეებს, ყველამ იცოდა, სად რა ტურნირი გაიმართა, ვინ გაიმარჯვა. აჩვენებდნენ საინტერესო პარ-ტიებს და ა.შ. საქართველოს დღესაც ჰყავს უძლიერესი მო-ჭადრაკე ქალები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ გუნდურ პირველობაზე 2015 წელს, 2017 წელს ბრინჯაოს მედლები აიღეს, ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ 2008 წელს რუსეთ - საქართველოს ომის დროს და ა.შ. პირად პირვე-ლობაზე ზურაბ აზმაიფარაშვილი 2003 წლის ევროპის ჩემ-პიონია, ნანა ძაგნიძე 2017 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი, ბაადურ ჯობავა 2017 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონია. ამის შესახებ მოკლე ინფორმაცია გადმოსცეს ტელეარხებში. ეს მოჭადრაკეები, რომლებიც საქართველოს ღირსებას იცავენ, იმსახურებენ, რომ უფრო ხშირად მიიწვიონ ტელეგადაცე-მებში, ილაპარაკონ მათზე, გააცნონ ქვეყანას მათი სახეები. მაგრამ ასე არ ხდება.

1970 წელს მეორედ გავხდი საქართველოს ჩემპიონი. ამ პერიოდში ჩემი მწვრთნელი იყო თამაზ გიორგაძე. მასთან მეცადინეობისას დავხვეწე სადებიუტო რეპერტუარი, ახალი ვარიანტებიც შევისწავლე. მისი მადლიერი ვარ.

1970 წელს კალინინგრადში ჩატარდა საბჭოთა კავშირის თასის პირველი გათამაშება ქალთა შორის. კალინინგრადი II მსოფლიო ომამდე იყო გერმანიის ქალაქი კენიგსბერგი. იქ ცხოვრობდა XVIII საუკუნის გამოჩენილი გერმანელი ფილო-სოფოსი ი. კანტი. იქვეა დაკრძალული. მოვინახულეთ მისი საფლავი, ყვავილებით შევამჟეთ. ი. კანტი თურმე სასეირნოდ ზუსტად ერთსა და იმავე დროს გამოდიოდა. ამის მიხედვით ხალხი საათებს ასწორებდაო. ერთ ნაცნობს მისთვის ფული უთხოვია სესხად. ი. კანტს უთქვამს, უმჯობესია, სამსა-ხურში მოგანებობ და ფულის სესხება აღარ დაგჭირდებაო და მართლაც, მოუწყვია სამსახურში.

ერთხელ კალინინგრადში, რესტორანში სადილობისას ჩვენთან ერთად მაგიდასთან ისხდნენ უცნობი მამაკაცი და ლამაზი ქალბატონი. იგი გაგვეცნო, მე საბჭოთა კავშირის სა-სალხო არტისტი ვარო. ვისაუბრეთ, ერთმანეთი გავიცანით. ცოტა ხანში ქალბატონი დაგვემშვიდობა და წავიდა. მოვი-და ოფიციანტი და იკითხა, აქ მჯდომი ქალბატონი სად არის, ფული არ გადაუხდიაო. ჩვენ ძალიან უხერხულ მდგომარეო-ბაში ჩავცვივდით. მაგიდასთან მჯდომმა მამაკაცმა თქვა: „ეგ ქალი სახალხო არტისტი კი არა სახალხო აფერისტი ყოფი-ლაო“. გავიდა ცოტა ხანი. ეს ქალბატონი ძალიან აღელვებუ-ლი შემოვიდა რესტორანში და ოფიციანტი მოიკითხა. ფული გადაუხადა, შემდეგ ჩვენთანაც მოვიდა დიდი ბოდიშებით, ეს რა დამემართა, ფულის გადახდა როგორ დამავიწყდაო. ქალ-ბატონის წასვლის შემდეგ მაგიდასთან მჯდომმა მამაკაცმა თქვა: „ეგ ქალი ნამდვილად სახალხო არტისტი ყოფილაო“.

საბჭოთა კავშირის პირად პირველობაზე მოჭადრაკეები ხვდებოდნენ ხან რესპუბლიკების პირველობიდან პირდაპირ ფინალში, ხან სპორტული საზოგადოებების პირველობიდან ნახევარფინალის გავლით. რესპუბლიკას და სპორტულ საზოგადოებას იმის მიხედვით გამოუყოფდნენ ადგილებს,

მათი რამდენი მოჭადრაკეც თამაშობდა წინა წლებში საკავშირო პირველობაზე.

1970 წელს საქართველოს პირველობიდან პირდაპირ საკავშირო პირველობაზე მოვხვდით მე და მანანა სანაძე. ტურნირი ჩატარდა მოლდავეთის ქალაქ ბელცში. ბელცი მყუდრო და ლამაზი ქალაქია. ტურნირის დახურვას ესწრებოდნენ ქალაქის პარტიული მუშაკები, მოსკოვიდან ჩამოსული ოფიციალური პირები, მონაწილეები თავიანთ მწვრთნელებთან ერთად. გამოგვიძახეს სცენაზე მე და მანანა და გადმოგვცეს პრიზი „ქართული აღზრდისათვის“- საათი ჭადრაკის დედოფლის ფორმით (ფოტო იხ. გარეკანზე). ეს ჩემთვის ყველაზე ძვირფასი პრიზია, რომელიც კი ოდესმე მიმიღია. მე და მანანამ ჩავთვალეთ, რომ ეს პრიზი ასევე ეკუთვნოდა ჩვენ წინა თაობას, რომელიც თამაშობდა საკავშირო სარბიელზე საქართველოს სახელით და თავისი ნათელი კვალი დატოვა. ქართველები გამოვირჩეოდით მეტოქისა და მსაჯების მიმართ პატივისცემით, კორექტულობით. არ ვკადრულობდით უკადრებელს (არ ვიღებდით კარნასს, არ ვცდილობდით ნერვები მოგვეშალა მონინააღმდეგისათვის, არ ვუხეშობდით, არადა, ასეთი შემთხვევები ხშირი იყო მონინააღმდეგეთა მხრიდან). ისიც გასათვალისწინებელია, ვინ როგორ იქცეოდა პარტიის დამთავრების შემდეგ რესტორანში, სასტუმროში. რა თქმა უნდა, სხვა რესპუბლიკებიდანაც იყვნენ ღირსეული მოჭადრაკები, მაგრამ ქართველები მაინც გამოვირჩეოდით.

განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ელისო კაკაბაძე. რამდენჯერმე მომინია მასთან ერთად სასტუმროს ნომერში ცხოვრება. 1966 წელს კიევში, როცა ვირუსული გრიპი შემხვდა, სასტუმროში ელისოსთან ერთად ვცხოვრობდი. მას შეიძლება გადასდებოდა ავადმყოფობა, მაგრამ არც ერთხელ არ უგრძნობინებია ჩემთვის რაიმეთი უკმაყოფილება. ელისო გიტარაზე უკრავდა და მღეროდა რუსულ რომანსებს. (რამდენიმე მეც მასწავლა). იყო გარეგნულად ლამაზი, სრულყოფილად ფლობდა რუსულ ენას. ყველასაგან გამოირჩეოდა

თავისი დახვეწილობით. ტურნირის მონაწილენი მას დიდ პატივს სცემდნენ. ელისომ დაიცვა დისერტაცია, გახდა პედა-გოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. თავისი ნაშრომი მიუტანია ვახტანგ ქარსელაძისთვის. მას უთქვამს: „შენ მსოფლიო ჩემპიონობას ეს ნაშრომი ამჯობინეო“.

ბელცში ყოფნისას წარმადგინეს დიდოსტატ ლ. შამ-კოვიჩთან.. მე გავეცანი: ციცინო კახაბრიშვილი - საქართველოდან. მან ხელი გამომიწოდა და მითხრა: ლეონიდ შამ-კოვიჩი - საბჭოთა კავშირიდან.



სხედან მარცხნიდან: ტატიანა ლემაჩვილი, ლ. ლუბარსკაია, მსაჯი, ალა კუშნირი, ლუდმილა ბელავენეცი, მსაჯი, ნატაშა კონოპლიოვა, მეორე რიგი: მსაჯი, ლიდია სემიონოვა, სალმე რომიტარე, კირა ზვორიკინა (მსაჯი), მანანა სანაძე, მ. სამული, ლუდმილა საუნინა, მაია რანიკუ,

მესამე რიგი: მსაჯი, ციცინო კახაბრიშვილი, ლ. სტარჩენკო, ვ. უშაკოვა, ტატიანა მოროზოვა, ტატიანა ზატულოვსკაია, ირინა ლევიტინა, ნატაშა ალიოხინა, მსაჯი

ბელცი, 1970

გამოთვლითი ტექნიკა და ჭაღრაკი

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავიწყე მუშაობა სპეციალობით, საგეგმო კომიტეტის გამოთვლით ცენტრში ინჟინრად. სანამ კომპიუტერები შემოვიდოდა, იყო დიდი გამომთვლელი მანქანები, რომლებსაც დაახლოებით 150 კვ. მ. ფართობი ეკავა. ერთი მანქანის შესწავლა თავისი სირთულით უტოლდებოდა დისერტაციის დაცვას. მე შევისწავლე და ვემსახურებოდი სამ სხვადასხვა მანქანას: მინსკ-32, EC-1033 და EC-1045. ვიყავი უფროსი ინჟინერი, ლაბორატორიის გამგე, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. სამუშაო იყო მეტად მძიმე, ქალისთვის შეუფერებელი და საპასუხისმგებლო. ხმაური იყო დასაშვებ ნორმაზე მეტი. ზოგიერთ ინჟინერს სმენის პრობლემა შეექმნა. მანქანის ზოგი ნაწილი მუდმივი ძაბვის ქვეშ იყო, ზოგი - ცვლადი ძაბვის ქვეშ. ერთხელ სხვისი შეცდომის გამო მოვყევი ცვლადი ძაბვის ქვეშ და სასწაულად გადავურჩი სიკედილს. ვაერთებდი კაბელებს, ვემსახურებოდი გარე მოწყობილობებს, ვმუშაობდი ცვლებში. ჩვენს ცენტრში დაბეჭდილი მონაცემები იგზავნებოდა მოსკოვში. თუ მანქანის მუშაობა შეფერხდებოდა, სასწრაფოდ უნდა აღმოგვეფხვრა ხარვეზი, ისე სახლებში ვერ წავიდოდით. სამაგიეროდ, ჩვენი შრომა იმით იყო დაფასებული, რომ მაქსიმალური ხელფასი გვქონდა - 250 მანეთი. საბჭოთა კავშირის პერიოდში ეს იყო უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ხელფასი. უფრო დიდი ხელფასი ჰქონდათ განყოფილების გამეობსა და დირექციის თანამშრომლებს. დამავალეს და ისე გადავაკეთე მოწყობილობა, რომ მოსკოვიდან ბრიგადის ჩამოყვანა აღარ დაგვჭირდა და 9 ათასი მანეთის ეკონომიკა გამოუვიდა გამოთვლით ცენტრს. ხდებოდა ხოლმე, რომ სხვა გამოთვლით ცენტრებში მივდიოდი დასახმარებლად და პრობლემებს ვაგვარებდი. ჩვენი ფილიალები იყო სხვადასხვა ქალაქში. როცა იქ უჭირდათ, ჩვენ გვიძახებდნენ. ამ მისით რამდენჯერმე ვიყავი ბათუმში, ერთხელ - ქუთაისში. შეჯიბრებებზე იმ პირობით მიშვებდნენ, რომ ყველა მოწყობილობა სრულ წესრიგში უნდა დამეტოვე-

ბინა. მადლიერებით მინდა გავიხსენო გამოთვლითი ცენტრის დირექტორი ილია ბურდული, რომელიც ნებას მაძლევდა გავმგზავრებულიყავი ტურნირებზე და ხელფასს მინარჩუნებდა. ასევე, მადლობა ეკუთვნის ჩემგან იმ თანამშრომლებს, რომლებიც ჩემს საქმეს აკეთებდნენ, სანამ დავბრუნდებოდი.

მოგეხსენებათ, შეჯიბრის წინ მოჭადრაკეებს უტარდებათ საწვრთნელი შეკრება, სადაც ისვენებენ, მეცადინეობენ. მე კი ღამის 11 საათზე რომ წამოვიდოდი სამსახურიდან, მეორე დღეს, დილის 6 საათზე მივემგზავრებოდი ტურნირზე, რომ იქ „დამესვენა“.

მინდოდა ჭადრაკისთვის თავი დამენებებინა, რადგან მეცადინეობისთვის დრო არ მრჩებოდა, მაგრამ უფროსმა დამ, ციალამ ამის ნება არ მომცა. სამსახურში შესვენებაზე



მარცხნიდან: თამაზ კიკიანი, მისი და, დისშვილები, თამარ ხმიადაშვილი, ციცინო კახაბრიშვილი, მარგო წეროძე-ჯაში, მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელანი, ოთარ თურქესტანიშვილი თავისი შვილით.

თბილისი, 1975

ვთამაშობდი ბლიცს. ჩემზე სუსტ მოწინააღმდეგეს ვაძლევ-დი 10 წუთს, მე ვიყენებდი 2 წუთს. ეს იყო ჩემი მეცადინეობა. მოგვიანებით ჩვენს განყოფილებაში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო ოსტატმა საჭადრაკო კომპოზიციაში ველიმირ კალანდაძემ. მასთან ბლიცის თამაში ძალიან საინტერესო და სასარგებლო იყო ჩემთვის.

1975 წელს ჩემი უფროსი დის, ციალას დაუინებული მოთხოვნით, კერძო გაკვეთილებს ვიღებდი რომან ჯინჯიხაშვილთან 8 თვის განმავლობაში. ჩემმა დამ დამაფინანსა. შემდეგ რომა (ასე მივმართავდით მას) ცოლ-შვილთან ერთად ისრაელში გაემგზავრა. ამ გაკვეთილებმა ბევრი შემძინა. გავეცანი თეორიულ სიახლეებს, დავამუშავეთ ახალი ვარიანტები.

როგორც საქართველოს ჩემპიონი, მრავალგზის პრიზიორი, სპორტკომიტეტში ჩაწერილი ვიყავი სხვადასხვა მწვრთნელის ჯგუფში, მაგრამ მოუცლელობის გამო გაკვეთილებზე ვერ დავდიოდი. თუ შეჯიბრი თბილისში ტარდებოდა, მწვრთნელები გადადებულ პარტიებს მირჩევდნენ. 1976 წლის შემდეგ აღარც კი ვიცოდი, რომელი მწვრთნელის ჯგუფში ვიყავი ჩაწერილი. თუ ტურნირი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ტარდებოდა, სპორტკომიტეტი გამაყოლებდა ხოლმე რომელიმე მოჭადრაკეს. ეს მჭირდებოდა ძირითადად გადადებული პარტიების გასარჩევად, თუმცა ხშირად მწვრთნელი არ წამყოლია. ასეთ შემთხვევაში, ვრეკავდი თბილისში, გადადებული პარტიის პოზიციას ვაწერინებდი ჩემს დას. ის მიდიოდა ჭადრაკის სასახლეში და ბუხუტი გურგენიძეს სთხოვდა პარტიის გარჩევას. ისიც დაუზარებლად, მაღალ დონეზე მირჩევდა პარტიებს. შემდეგ ჩემი და მირეკავდა სასტუმროში და ანალიზს მაწვდიდა. მამაჩემი ღამეებს ათენებდა ხოლმე ჩემი გადადებული პარტიების გარჩევაში და ხშირად ძალიან კარგი სვლებისთვისაც მიუგნია. კარგია, რომ ამჟამად პარტია აღარ გადაიდება და თამაში მაშინვე მთავრდება. გადადებული პარტიის შედეგი მწვრთნელზე დიდად იყო დამოკიდებული.

იუგოსლავის დედაქალაქ ბელგრადში გამოდიოდა საჭადრაკო ინფორმატორი, რომელშიც სხვადასხვა ტურნირის რჩეული პარტიები იძეჭდებოდა. ამ წიგნში ბევრი საინტერესო თეორიული ვარიანტის ნახვა შეიძლებოდა. საქართველო ამ ინფორმატორს მცირე რაოდენობით იღებდა და ძირითადად წამყვან მოჭადრაკეებს აძლევდნენ. რამდენიმე ცალი მეც შემხვდა. ოჯახში მეცადინეობას ვერ ვახერხებდი. დედა ავადმყოფობდა და სამსახურიდან დაბრუნებულს უამრავი საქმე მხვდებოდა. როცა შეჯიბრზე მივემგზავრებოდი, ეს წიგნები თან მიმქონდა და თამაშის შემდეგ ვარჩევდი პარტიებს, თეორიულ სიახლეებს ვეცნობოდი.

1972 წელს მე და თ. ხმიადაშვილი ვთამაშობდით უკრაინის ქ. უდანოვში, საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალში. რამდენიმე ტურის შემდეგ თამრიკომ მიიღო დეპეშა: მამა მძიმედ არის და ჩამოდიო. უდანოვს აეროპორტი არ ჰქონდა. თბილისში დონეცკიდან უნდა გამოფრენილიყავი. ტურნირის ადგილობრივმა ორგანიზატორებმა უთხრეს თამრიკოს, ვერაფრით დაგეხმარებითო. დონეცკში



ციცინო კახაბრიშვილი
საერთაშორისო ტურნირი.
ჰალე, (გდრ), 1973

ეს დეპეშა აეროპორტის უფროსს აჩვენებ და სავარაუდოდ, ბილეთს მოგცემსო. თამრიკო ძალიან ცუდად იყო. მივატოვე ტურნირი და მასთან ერთად გავემგზავრე დონეცეში. შევე-დი აეროპორტის უფროსთან, დეპეშა ვაჩვენე. მან დარეკა და მითხრა, მიდი სალაროში და ბილეთს მოგცემენო. ბილეთი ავიღე, მაგრამ თამრიკო ვერ მივატოვე და თვითმფრინავის გაფრენამდე დავრჩი მასთან. თვითმფრინავის რეისი საღა-მოს იყო დანიშნული. რეგისტრაციის დროს დავინახე ჩემი ნაცნობები. მე მათთან სადიპლომო პრაქტიკა გავიარე. თამ-რიკო მათ ჩავაბარე და წავედი ავტოსადგურში, რომ უდანოვ-ში დავბრუნებულიყავი. სალაროსთან დამხვდა ზედახორა. თურმე ბოლო რეისი გადიოდა უდანოვის მიმართულებით, მსურველი კი ბევრი იყო. ვდგავარ და ვფიქრობ: რა ვქნა ახლა მე? გადავწყვიტე, დავლოდებოდი ავტობუსის გასვლას, იქნებ მძლოლს ფეხზე დადგომის ნება მოეცა. თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, სასტუმროს მოვქებნიდი, ლამეს გავათევდი და დილით გავემგზავრებოდი უდანოვში. ამ ფიქრებში ვარ, რომ ჩემთან მოვიდნენ ახალგაზრდა, 20 წლამდე ბიჭები და რუსულად მითხრეს: „ჩვენ აფხაზეთიდან ვართ, დაგინახეთ, გიცანით, რომ ქართველი ხართ და ბილეთი თქვენთვისაც ავიღეთო“. რა თქმა უნდა, ბილეთის ფული გადავიხადე. ამ 4 ბიჭიდან არც ერთი არ იყო ქართველი. სასტუმროში შუა-ლამეს დავბრუნდი. დალლილი ვიყავი, განერვიულებული და ცუდად მეძინა. მეორე დღეს კარგად ვერ ვითამაშე და წავაგე.

1973 წელს მესამედ გავხდი საქართველოს ჩემპიონი და გამაგზავნეს გერმანიის ქ. ჰალეს საერთაშორისო ტურნირზე. დაუმარცხებლად ვითამაშე და II საპრიზო ადგილი დავიკავე. ბოლო ორი ტური დილის 8 საათზე დაგვაწყებინეს. ასეთ რე-ჟიმს შეჩვეული არ ვიყავი, საბრძოლველად რაღაც ვერ გან-ვენეყე და ბოლო ორი ჰარტია ყაიმით დავამთავრე. მომენტა საერთაშორისო ოსტატის ერთი ბალი. სამ წელიწადში უნდა შემესრულებინა მეორე ბალიც და მომანიჭებდნენ საერ-თაშორისო ოსტატის წოდებას. მაშინ საზღვარგარეთელი მოჭადრაკეები თამაშის დონით ჩამოუვარდებოდნენ საბჭო-თა მოჭადრაკეებს და საზღვარგარეთ ბევრად უფრო ადვი-

ლი იყო თამაში, ვიდრე საბჭოთა კავშირში. საერთაშორისო ოსტატის ნორმა ადვილი შესასრულებელი იყო, მთავარია მონაწილეობა მიგელო საზღვარგარეთ გამართულ ტურნირებში. აქვე ვიტყვი, რომ 1976 წელს მე და ნ. გურიელი გავხდით საქართველოს ჩემპიონები და ჩვენ უნდა გავმგზავრებულიყავით საზღვარგარეთ საერთაშორისო ტურნირზე (დადგენილი წესით საქართველოს ჩემპიონებს გზავნიდნენ), მაგრამ გაგზავნეს ნ. გურიელი და ქ. მელაშვილი.

გერმანიაში ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა. მასპინძლებმა ბანკეტი გადაგვიხადეს რესტორანში. ტურნირის ყველა მონაწილე იქ იყო. მოპირდაპირე მაგიდასთან ისხდნენ ახალგაზრდა გერმანელი ბიჭები თეთრი ყელსახვევებით. მათ დაუმთავრებიათ სავალდებულო სამხედრო სამსახური და ტრადიციისამებრ, თეთრ ყელსახვევზე ხელს აწერინებდნენ სხვადასხვა პირს. მოულოდნელად მოვიდნენ ჩვენს მაგიდასთან და მთხოვეს ხელის მოწერა. ჩემი გვარი დავწერე ჯერ ქართულად და შემდეგ გერმანულად, რომ მათთვის გასაგები ყოფილიყო.

1974 წელს 10 მაისიდან 6 ივნისამდე რიგა მასპინძლობდა ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ნახევარფინალურ მატჩს. თამაშობდნენ ნანა ალექსანდრია და მართა ლიტინსკაია. სწორედ ამ პერიოდში იურმალაში გაიმართა საქართველოს, უკრაინისა და ლატვიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. (თენგიზ გიორგაძის მიერ გამოცემულ წიგნში „ქართული ჭადრაკის მატიანე“, ტ. I, გვ. 124, ეს ინფორმაცია გამორჩენილია). ჩვენ გამოვნახეთ დრო და ჩავედით რიგაში, დავუსწარით ნანას თამაშს, ვუგულშემატებივრეთ. ერთხელ ნანაც გვენვია იურმალაში. საღამოს ყველანი ბარში შევედით, გვინდოდა, ნანა გაგვერთო. თამაშის დროს ძალიან კარგია, თუ მოჭადრაკე ცოტა ხნით მაინც დაივიწყებს ჭადრაკს, განიმუშტება. ვიღაცამ მოიგონა: მოდით, ერთმანეთს საიდუმლო წერილები მივწეროთ და აბა, თუ გამოვიცნობთ, ვისი მინერილიაო. ერთმა ქალბატონმა მიიღო წერილი: „მე ძალიან მომწონს შენი თვალები, განსაკუთრებით მარჯვენა“. ერთმა ვაჟბატონმა დაიჟინა: „მე აუცილებლად

მომივა წერილი, აუცილებლად მომივაო“. მართლაც მიიღო წერილი: „მე შენ გაღმერთებ“ და მან ამაყად გადმოგვხედა ყველას. მე ვუთხარი, ეს წერილი შენ თვითონ მისწერე საკუთარ თავს, იმიტომ იყავი ასე დარწმუნებული - „მე აუცილებლად მომივაო“ და ა.შ. ნანა გავამხიარულეთ და გავაცილეთ.

მე და მ. ლიტინსკაიას (ქალიშვილობის გვარი იყო შული) რამდენჯერმე გვითამაშია ერთ ტურნირში. იგი ლვოვში ცხოვრობდა და მისი პირველი მწვრთნელი იყო კარტი. 1967 წელს სოჭში გაიმართა საკავშირო მასობრივი ტურნირი. მ. შულმა იმით დამამახსოვრა თავი, რომ სვლის გაკეთების შემდეგ გარბოდა და ყველას დასანახად თავის მწვრთნელს ელაპარაკებოდა.

1977 წელს საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალი ჩატარდა დნეპროპეტროვსკში. ვთამაშობდით საჭადრაკო კლუბის დარბაზში. დარბაზს წინ ჰქონდა შუშებით გამოყოფილი ლოვია. ვხვდებოდი მ. ლიტინსკაიას. შევამჩნიე, რომ ის ჩემ უკან, ზევით რაღაცას უყურებდა. მივტრიალდი



მარცხნიდან: ციცინო კახაბრიშვილი, თამარ ხმიადაშვილი
და ნანა იოსელიანი. თბილისი, 1975

და დავინახე შუშების უკან მდგომი მისი პირდაღებული მწვრთნელი, რომელიც რაღაცას ანიშნებდა.

1974 წელს ვთამაშობდი ბელორუსის ქ. გომელში, საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალში. ეს ქალაქი იმით დამამახსოვრდა, რომ აქვთ მუზეუმი, მეორე მსოფლიო ომის ამსახველი სურათებითა და მოგონებებით. ბელორუსიაში ბევრი ტყე ყოფილა და ამან ხელი შეუწყო პარტიზანული მოძრაობის ფართოდ გაშლას. მუზეუმში 11 წლის ბიჭის სურათია. მას თურმე ოჯახი ამოუწყვიტეს, თვითონ სასწაულად გადარჩა, შეძლო შეერთებოდა პარტიზანებს და მათთან ერთად მონაწილეობდა ბრძოლებში. მას მტრის 9 ჯარისკაცი მოუკლავს და თვითონაც დალუპულა. მუზეუმში ახალგაზრდა ლამაზი ქალბატონის სურათია, გიტარით ხელშია გადაღებული. ის იატაკევეშა ორგანიზაციის წევრი ყოფილა. მტერს შეუპყრია, მაგრამ მას არავინ არ გაუცია, თავი ღირსეულად ეკავაო.

სამწუხაროდ, 1986 წელს ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ გომელი ერთ - ერთი ქალაქი იყო, რომელიც რადიაციულ ზონაში მოჰყვა.

1975 წელს გავხდი სპორტული საზოგადოებების პროფესიონალური საბჭოს ჩემპიონი. სინამდვილეში ეს იყო ყველა არსებული სპორტული საზოგადოების საკავშირო პირველობა. საბჭოთა კავშირის პირველობის შემდეგ ეს თავისი მნიშვნელობით მეორე ტურნირი იყო, თამაშდებოდა მცირე ოქროს მედალი. ამ ტურნირის შედეგი მოსკოვის საინფორმაციო გამოშვება „Время“-ზე გადმოსცა.

1990 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნში „Шахматы. Энциклопедический словарь“, გვ. 288, წერია, რომ ტურნირი იმართებოდა 2 წელიანდში ერთხელ. შემდეგ წლების ჩამონათვალია, როდის გაიმართა ტურნირი, ვინ გახდა ჩემპიონი. აღნიშნულია, რომ 1973 წელს ჩემპიონი იყო ნანა ალექსანდრია, ხოლო 1977 წელს ჩემპიონი გახდა კინსიგო. საერთოდ გამოტოვებულია 1975 წელი. რას ნიშნავს ეს? ალექსანდრიას ვერ გაუბედეს ჩამონათვალიდან ამოღება, მე კი ამომიღეს, რომ ისტორიას კიდევ ერთი ქართული გვარი არ შემორჩენოდა.

1975 წელს ზევით აღნიშნულ ტურნირზე გადადებულ პარტიებს მირჩევდა ზურაბ მიქაძე. მან დიდი წვლილი შეიტანა ჩემს გამარჯვებაში.

1976 წელს უკრაინის ქალაქ პოლტავაში ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალი. ვთამაშობდით მე და ქეთინო მელაშვილი. ქეთინოს მწვრთნელი ოთარ თურქესტანიშვილი ცოლ-შვილთან ერთად იყო წამოსული. მე მწვრთნელად წაყვანა მთხოვა მხცოვანმა მოჭადრაკემ ნიკოლოზ სოროკინმა. მისი შვილიშვილი ცხოვრობდა დნეპროპეტროვსკში და უნდოდა ტურნირის შემდეგ მას სწვეოდა. მოგვიანებით ჩამოვიდნენ ქეთინოს მამა და ჩემი და ციალა.

მე ლიდერთა ჯგუფში ვიყავი. ფინიშზე ვხვდებოდი ქ. მელაშვილს. ჩემ გასაგონად ო. თურქესტანიშვილი ამბობდა: დაუშვებელია, როცა მონინააღმდეგები წინასწარ თანხმდებიან, როგორ დაამთავრონ პარტია. მე წინააღმდეგი ვარ, თუნდაც, ნახევარი ქულის მიცემისო. ამას ამბობდა რამდენიმე ტურით ადრე, ასე ვთქვათ, წინასწარ იჭერდა თადარიგს. ასეთმა ლაპარაკმა გამანაწყენა. მე არაფრის შეთავაზებას არ ვაპირებდი. ფინალში გასასვლელად მოგება მჭირდებოდა და მოვიგე კიდეც. თვითონ ქეთინო ძალიან ღირსეული პიროვნებაა. მას დღესაც პატივს ვცემ.

ო. თურქესტანიშვილთან დაკავშირებით კიდევ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. 1977 წელს, როგორც ზევით უკვე აღვნიშნე, ვთამაშობდი დნეპროპეტროვსკში. მწვრთნელად ისევ ნიკოლოზ სოროკინი წავიყვანე მისივე თხოვნით, რათა შვილიშვილი ენახა. ტურნირში ქ. მელაშვილიც თამაშობდა. ტურნირის ორგანიზატორებმა ნ. სოროკინს შესთავაზეს ყოფილიყო ტურნირის მთავარი მსაჯი, რაზეც ის დათანხმდა. გადადებული პარტიის გარჩევა რომ ვთხოვე, უარი მითხრა. მე ოთარმა ამიკრძალა შენი პარტიიების გარჩევა, როგორ შეიძლება მსაჯი მოთამაშეს ეხმარებოდესო. ასე მითხრა: „Отари меня атакавал“. ასე დავრჩი უმწვრთნელოდ.

ისე, ო. თურქესტანიშვილი განათლებული კაცი იყო, სასიამოვნო მოსაუბრე. იუმორის გრძნობა ჰქონდა. ძალიან კარგი მწვრთნელი იყო. დამწყებ მოჭადრაკეებს გამბიტებს ათამა-შებდა, ამიტომ მას ზედმეტი სახელი - „გამბიტო“ შეარქვეს. 1981 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

უკრაინის სხვადასხვა ქალაქში მითამაშია და ყველგან სტუმართმოყვარე და კარგი ადამიანები მხვდებოდნენ, მაგრამ პოლტავის მცხოვრებნი მაინც გამორჩეულები იყვნენ. მაყურებლები მე არ მიცნობდნენ, მაგრამ მაინც ბევრი გულშემატკივარი მყავდა. ტურნირის დახურვაზე მე დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადავუხადე მხარდაჭერისთვის.

პოლტავა იმითაც არის საინტერესო, რომ ვახტანგ VI-ის მიერ რუსეთში წაყვანილი ქართველების დიდი ნანილი იქ ჩაუსახლებიათ. მე ვიკითხე, ქართული გვარები თუ იყო შემორჩენილი. მითხრეს: „მარტო ოდიშელიძეა, იმასაც ორი ქალიშვილი ჰყავს და ეს გვარიც დაიკარგებაო“.

1709 წლის 28 ივნისს ქ. პოლტავის მისადგომებთან გაიმართა ცნობილი ბრძოლა რუსებსა და შვედებს შორის, რომელშიც თვით პეტრე I მონანილეობდა. უკრაინელებს ამ ბრძოლისადმი მიძღვნილი მემორიალური კომპლექსი შეუქმნიათ. პეტრე I-ის ძეგლი იმ ადგილას დაუდგამთ, სადაც ბრძოლის წინ ბრძანებას კითხულობდა. ეს ძეგლი საინტერესოა იმით, რომ პეტრე დიდის ზუსტი ასლია. პეტრე I ყოფილა 2 მეტრზე მაღალი კაცი, ფეხის ტერფი კი პატარა ჰქონია. ასევე ძეგლი დაუდგეს ქალაქის კომენდანტ პოლკოვნიკ კელინს და ქალაქის დამცველებს. ბრძოლის შემდეგ პეტრე I სადაც ისვენებდა, იმ ადგილზეც ძეგლი აღუმართავთ. ბრძოლაში 1345 ჯარისკაცი და ოფიცერი დაღუპულა. ისინი ერთად დაუკრძალავთ და იმ ადგილზე დიდი გორაკია. გორაკის თავზე ძალიან დიდი ზომის ჯვარია აღმართული. მუზეუმში იმ პოლკებისა და ბატალიონების ჩამონათვალია, რომლებიც ბრძოლაში მონანილეობდნენ. მათ შორის არის ქართველ ჰუსართა პოლკიც. ვუყურებდი გორაკს და სევდა მიპყრობდა. ვინ იცის, რამდენი ქართველი განისვენებდა იქ.

პოლტავაში უცხოვრია პოეტსა და მწერალს ი. კოტლიარევსკის. მისი სახლიც მოვინაზულეთ და მისი ლიტერატურულ - მემორიალური მუზეუმიც. ასევე პოლტავაში მოღვაწეობდა


ცნობილი მწერალი ვ. კოროლენკო. იქვე არის დაკრძალული. მის სახლში მუზეუმია გახსნილი და მის საფლავზე ძეგლია აღმართული.

პოლტავის გუბერნიაში შედიოდა ქ. მირგოროდი, სადაც დავით გურამიშვილი დასახლდა. ტურნირის დამთავრების შემდეგ მე და ჩემი და გავემგზავრეთ მირგოროდში. დ. გურამიშვილის მუზეუმის დირექტორი ნინა დავიდენკო მომხიბლავი ქალბატონი იყო, ქართველების დიდი პატივისმცემელი. დაგვათვალიერებინა მუზეუმი, სამახსოვრო წიგნში ჩანაწერები დავტოვეთ, ვისაუბრეთ, ჩვენი თავი გავაცანით. მან გვირჩია, აქვე, ახლოს ცნობილი „Сорочинская ярмарка“ არის გამართული და დაათვალიერეთო. გამოგვაცილა გზამდე, გაგვიჩერა მანქანა და გაგვამგზავრა. უკრაინელები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი ტრადიციები. 1976 წელსაც ისე იყო იქ ყველაფერი, როგორც ნ. გოგოლს აქვს აღნერილი მოთხოვბაში „Сорочинская ярмарка“, ოლონდ უფრო დიდი მასშტაბით. უზარმაზარ ველზე გაშლილ ფარდულებში უკრაინის ყველა საწარმო ყიდიდა საკუთარ პროდუქციას. ყველა ფარდულის შემოვლა შეუძლებელი იყო. ჩვენ შთაბეჭდილებით სავსე დავბრუნდით თბილისში. რამდენიმე დღის შემდეგ მივიღეთ წერილი მირგოროდიდან. ჩვენი წამოსვლის შემდეგ გაზეთებს ფართოდ გაეშუქებინათ ტურნირი და მუზეუმის დირექტორმა ეს სტატიები გამოგვიგზავნა.

1976 წელს საბჭოთა კავშირის პირველობა ჩატარდა თბილისში. 18 მონაწილიდან 6 ქართველი ვიყავით: ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი, ნ. გურიელი, თ. ხმიადაშვილი და მე. ამ ტურნირში დამამახსოვრდა ნონასთან შეხვედრა. ძირითადი დროის ამონურვის შემდეგ ჩვენი პარტია გადაიდო. ამ დროს ჩემი მწვრთნელი ოფიციალურად იყო თ. კიკიანი (მის ჯგუფში ვიყავი ჩანერილი), მას ევალებოდა ჩემი პარტიების გარჩევა, მაგრამ მან მითხვა, ნონას წინააღმდეგ პარტიას ვერ გაგირჩევო. ჩემი ბიძაშვილი მამუკა

ჩლაიძე მუშაობდა კიბერნეტიკის ინსტიტუტში და ეს პარტია მან და მისმა თანამშრომლებმა გამირჩიეს. მე შევძელი ყაი-მით დამეტავრებინა შეხვედრა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ-თან. გთავაზობთ გადადებულ პარტიას:

კახაბრიშვილი - გაფრინდაშვილი თბილისი, 1976 წ.



42. $\mathbb{E}f1$ f6 43. $\mathbb{E}f2$ $\mathbb{E}d8$ 44. $\mathbb{Q}e5$ $\mathbb{E}d5$ 45. $\mathbb{Q}c4$ $\mathbb{E}d8$ 46. $\mathbb{Q}e5$ $\mathbb{W}e6$ 47. $\mathbb{Q}c4$ $\mathbb{E}e8$ 48. $\mathbb{Q}a5$ $\mathbb{W}d5$ 49. $\mathbb{W}xd5+$ $\mathbb{Q}xd5$ 50. $\mathbb{E}d2$ $\mathbb{Q}c3$ 51. $\mathbb{Q}f3$ $\mathbb{Q}f7$ 52. $\mathbb{Q}c4$ $\mathbb{Q}e6$ 53. $\mathbb{E}c2$ h5 54. $\mathbb{Q}e3$ $\mathbb{E}d8$ 55. $\mathbb{Q}a5$ $\mathbb{E}d6$ 56. $\mathbb{Q}c4$ $\mathbb{E}d8$ 57. $\mathbb{Q}a5$ $\mathbb{Q}d1+$ 58. $\mathbb{Q}e2$ $\mathbb{Q}c3+$ 59. $\mathbb{Q}e3$ ყაიმი. პოზიცია გამეორდა 3-ჯერ.

ამ ტურნირში აღსანიშნავია ჩემი შეხვედრა ტატიანა ზატულოვსკაიასთან. ის შემოქმედების ზენიტში იმყოფებოდა, შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, მონანილეობდა ფიდეს ზონალურ და საზონათშორისო ტურნირებში. ჩვენი პარტია დაძაბულად წარიმართა და გადაიდო. გადადებული პარტიის დამთავრებისას ორივე ძლიერ ცაიტნოტში აღმოვჩნდით. 7 სვლა დაკიდებულ ისარზე გავაკეთეთ. ცაიტნოტში მატერიალურ უპირატესობას მივაღწიე, მაგრამ მე პირველს ჩამომივარდა ისარი. მაშინ ასეთი წესი იყო: სხვა მაგიდაზე ხდებოდა პარტიის გარჩევა ჩანაწერის მიხედვით და ბოლოს, გაირკვეოდა, შესრულდა თუ არა საკონტროლო სვლები. მთელი ამ პროცესის დროს, ვისაც ისარი ჩამოუვარდა, მისი საათი მუშაობდა, მისი დროის ხარჯზე ხდებოდა პარტიის გარჩევა. (აღვნიშნავ, რომ ამჟამად ეს

მანკიერი წესი აღარ არის, პარტიის გარჩევის დროს საათი გაჩერებულია). ჩვენც გადავსხედით სხვა მაგიდაზე და დავიწყეთ პარტიის ჩანაწერის გარჩევა. სვლების დადგენა შეიძლება დაწყებულიყო 41-ე სვლიდან, გადადებული პარტიის პოზიციიდან, კონვერტი იქვე გვედო მაგიდაზე, მაგრამ მსაჯებმა პირველი სვლიდან დაიწყეს. ტ. ზატულოვსკაია განგებ წელავდა დროს. გავარჩიეთ, ვთქვათ, პირველი 8 სვლა, ის ამბობდა ეს ჩანაწერი გაუგებარია და პირველ სვლას უბრუნდებოდა. გადავიდოდით, ვთქვათ მე-20 სვლაზე, ის ისევ რამდენიმე სვლით უკან ბრუნდებოდა და ასე იყო დაუსრულებლად. გაუგებარი არაფერი იყო, ცაიტნოტამდე ყველა სვლა უშეცდომოდ იყო ჩანერილი. საბოლოოდ პარტიის გარჩევას 40 წუთი მოვანდომეთ, რაც მაქსიმუმ 10 წუთში იყო შესაძლებელი. მოსკოველი მსაჯებიც ტ. ზატულოვსკაიას ნება - სურვილს ემორჩილებოდნენ. ბოლოს მე პრეტენზია გამოვთქვი, რომ დრო განგებ იწელებოდა და მალე ჩემი ისარი ჩამოვარდებოდა. როგორც იქნა, ჩავედით ბოლომდე და აღმოჩნდა, რომ საკონტროლო სვლები გაკეთებული მქონდა. თამაში გავაგრძელეთ, მაგრამ დრო ცოტა მქონდა. 20 სვლაზე 20 წუთი იყო დარჩენილი. ცაიტნოტის დროს ვინერვიულე, შემდეგ ტ. ზატულოვსკაიასა და მსაჯების საქციელმა აღმაშფოთა. თანაც, სანამ ბოლოში არ ჩავედით, არ ვიცოდი, მოვასწარი საკონტროლო სვლების გაკეთება თუ არა. ნერვიულობისაგან უეცრად გავხდი ცუდად, კარგად ვეღარ ვითამაშე და საბოლოოდ, მოსაგები ენდშპილი გავაყაიმე. მთელი დარბაზი ხედავდა მოგების ელემენტარულ გზას. გთავაზობთ ამ პარტიას:

კახაბრიშვილი - ზატულოვსკაია სსრკ ჩემპიონატი, თბილისი, 1976 წ.

1.c4 e5 2.¤c3 d6 3.¤f3 f5 4.d4 e4 5.¤d2 ¤f6 6.e3 g6 7.¤e2 ¤g7
 8.b4 a5 9.bxa5 ¤xa5 10.¤b3 ¤a8 11.¤d2 0-0 12.a4 ¤a6 13.a5
 ¤e7 14.¤a4 ¤d7 15.¤c3 ¤xa4 16.¤xa4 c5 17.¤a2 ¤ae8 18.0-0
 ¤h8 19.¤a1 g5 20.¤d1 f4 21.dxc5 dxc5 22.¤ad2 ¤b4 23.¤a3
 ¤a6 24.¤d6 ¤c8 25.¤xf6 ¤xf6 26.¤d7 ¤e5 27.¤xb7 fxe3 28.fxe3

♜cd8 29.♕c1 ♜b4 30.♖dd7 ♜xd7 31.♖xd7 ♜c6 32.♗d2 ♕f5 33.g4
 ♕e6 34.♖d6 ♕f7 35.♖d7 ♜e7 36.♕e1 ♜g8 37.♖d5 ♜b4 38.♖f5 ♕e6
 39.♖xf8+ ♜xf8 40.♖d1 ♜d6 41.♖f1 ♜c7 42.h3 ♜d3 43.♖g2 ♕xc4
 44.♖d2 ♕e6 45.♖xe4 c4 46.♕c2 ♜c5 47.♖xh7+ ♜g7 48.♖f2 ♕d6
 49.♖f1 ♜xa5 50.♖f5 ♜d3+ 51.♖e2 ♜e5 52.♖g3 ♕b4 53.♖d1 ♕b2+
 54.♖c2 ♕b7 55.♖e4 ♕f7 56.♖xg5 ♕f6 57.h4 ♜b6 58.♖f5 c3 59.♖d5
 ♕e7 60.♖e6+ ♜f6 61.♕e4 ♕d6 62.g5+ ♜e7 63.♖d4 ♜c7 64.h5 ♕a6+
 65.♖f2 ♕a2+ 66.♕c2 ♕a1 67.♖b3 ♕b2+ 68.♖xb2 cxb2 69.♖e2
 ♜f7 70.g6 ♜h6 71.♖b1 ♜f6 და 87 -ე სვლაზე პარტია ყაიმით
 დამთავრდა.

ერთხელ სათამაშო დარბაზში ადრე მივედი, დავჯექი და გადადებული პარტიის გარჩევა დავიწყე. დამინახა მაია ჩიბურდანიძემ, მოვიდა და დამეხმარა პარტიის გარჩევაში. მე ცოტა უარესი პოზიცია მქონდა, მაგრამ მან საყაიმო ვარიანტს მიაგნო, იმედი მომცა, აუცილებლად ყაიმს გააკეთებო. მართლაც, პარტია ყაიმით დავამთავრე. ეს შემთხვევა არ მავიწყდება და მაიას დიდი პატივისცემით ვიხსენებ.

1977 წელს საქართველოს პირველობა ჩატარდა თბილისში. ვთამაშობდით ჭადრაკის სასახლის სცენაზე. ერთ-ერთი პარტიის მსვლელობისას გავაკეთე სვლა და ველოდებოდი მოწინააღმდეგეს. გავიდა დრო და ის არ გამოჩნდა. გავედი მოსაძებნად. კულისებში არ იყო. დავტოვე სცენა და დერეფანში გავედი. იქ მწვრთნელების ოთახები იყო ჩამწკრივებული. ჩამოვიარე ოთახები. ერთ-ერთ ოთახში თავზე წავადექი ჩემს მოწინააღმდეგეს და მის მწვრთნელს, რომლებიც ჩვენს პარტიას არჩევდნენ. შოკში ჩავვარდი. ვიკითხე: რა არის ეს - მეთქი. რა იყო? უხეშად მითხრა ჩემმა მოწინააღმდეგემ ისე, რომ ოდნავაც არ შეცებუნებულა. დავბრუნდი სცენაზე, მაგრამ ვფიქრობდი იმაზე, რაც დავინახე და არა - სვლებზე. პარტია უბრძოლველად წავაგე. მახსოვს, ამ მოჭადრაკეს 1975 წელს რომ მოვუგე, ის მწვრთნელს შესჩიოდა, რა არის რა, სულ ვაგებ ციცინოსთანო და მომავალში მოგების თავისებური გზაც მონახა.

1977 წელს სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობის ნახევარფინალი ჩატარდა მაიორში.

მაიორი რიგასთან ახლოს მდებარე საკურორტო ქალაქია. აქ წარმატებით ვითამაშე და გავედი ფინალში. ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა. სასტუმროში ვცხოვრობდი თბილისელ მოჭადრაკესთან, რომელიც იყენებდა ლინზებს სათვალის ნაცვლად. უკვე საღამო იყო, დასაძინებლად ვემზადებოდი, რომ აბაზანიდან აღელვებული გამოვარდა ჩემი კოლეგა და მითხრა, ლინზებს ვრეცხავდი და ერთი ნიუარაში ჩამივარდა. დავამშვიდე, ვუთხარი, რომ წყალი შორს ვერ წაიღებდა და ვიპოვიდით. სასწრაფოდ გადავეტე წყალი, დავშალე წყლის მილები და ერთ-ერთ მუხლში ლინზაც ვიპოვე. ახლა მილების შეერთება დავიწყე, მაგრამ კარგად ველარ ავაწყე, წყალი გამოდიოდა. ამაზე ხმა არ ამოგვილია. სანამ იქ ვცხოვრობდით, წყალს ვწმენდდით. გვეშინოდა, ჩვენი ნამოქმედარი ვინმეს გაეგო.

1977 წელს ზაფხულში მე და თამარ ხმიადაშვილი ვთა-მაშობდით ალმა-ათაში, სპორტსაზოგადოება „ბურევესტ-ნიკის“ საკავშირო პირველობაზე. მაშინ თბილისიდან ალმა-ათამდე თვითმფრინავის პირდაპირი რეისი არ იყო. ალმა-ათაში ტაშკენტის გავლით შეიძლებოდა მოხვედრა. ტაშკენტში თავისუფალი დრო გვქონდა და გადავწყვიტეთ ქალაქის დათვალიერება. ძველი ხორეზმის სახელმწიფო გან-თავსებული იყო ახლანდელი უზბეკეთის ტერიტორიაზე. ასე რომ, ჯალალ - ედ - დინის სამშობლოში აღმოვჩნდით. სხვათა შორის, თემურ ლენგი უზბეკეთის ტერიტორიაზე - სამარ-ყანდშია დაკრძალული. დამამახსოვრდა ძველი უბნები. ქუჩაში ტროტუარი არ იყო. ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ თიხის სახლებს შემოვლებული ჰქონდა თიხის ღობეები. სახ-ლებს ფანჯრები არ ჰქონდა, რომ ჰარამხანის ქალებს ქუჩაში არ გამოეხედათ. შეგვხვდნენ ნაციონალურ ტანსაცმელში გა-მოწყობილი ქალები. ძალიან ცხელოდა. ცას ვერ დაინახავდი. ზევით, 2 მეტრის სიმაღლეზე იყო ყავისფერი ბურუსი, რომ-ლის იქით არაფერი ჩანდა.

მეგონა, რომ ცა და მზე ყველგან ერთნაირი იყო. თურმე არა. ამას მივხვდი ტაშკენტში ყოფნისას. იქ საერთოდ არა აქვთ ცა.

ალმა- ათაშიც ძალიან ცხელოდა. ქუჩაში ასფალტს ფეხს რომ ვაბიჯებდით, ასფალტი ფორმას იცვლიდა. ალმა-ათა ლამაზი და სუფთა ქალაქია. იქვე, ახლოს აღა-თაუს მთები ჩანს. ქალაქს წყალი არ აკლია. ქუჩაში ტროტუარს მიუყვება სარწყავი არხი, რომლითაც ირწყვება ხეები და ნარგავები. ყაზახები თავაზიანი ხალხია, სტუმართმოყვარე.

თავიდანვე ლიდერთა ჯგუფში ვიყავი. ბოლოსნინა ტურში შევხვდი მოსკოველ ფურმანს. მთელი პარტიის განმავლობაში უკეთესი პოზიცია მქონდა, მაგრამ ბოლოს დავუშვი შეცდომა. პარტია გადაიდო. არ ვიცოდი, შევძლებდი ყაიმის გაკეთებას თუ ვერა. წაგების შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე - საკავშირო პირველობის ნახევარფინალში ვეღარ



სხედან მარცხნიდან: ქსენია გოგიავა, ნანა ალექსანდრია, ელისო კაკაბაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ლილი წეროძე (ჭადრაკის სასახლის დირექტორი), მარინე ჩომახიძე და თამარ ხმიადაშვილი. დგანან მარცხნიდან: ლეილა ნაჭყებია, თამარ კაჭარავა და ციცინო კახაბრიშვილი თბილისი, 1972.

გავდიოდი. თამაშები დილას იმართებოდა, შემდეგ მივდიოდით სასადილოდ. ვზივარ რესტორანში მოჭადრაკეების-თვის გამოყოფილ მაგიდასთან და რომ იტყვიან, „დანა პირს არ მიხსნის“. ჩემზე უბედური არავინ არის. ვფიქრობ: ამხელა გზა გამომივლია, ამ სიცხეში თამაშით თავი დავიტანჯე და ერთი მცდარი სვლის გამო ყველაფერი წყალში მეყრება. ვხედავ, გვერდით მაგიდასთან ტრიალებენ ოფიციანტები. მხიარულობენ, ერთმანეთს სიცილით ელაპარაკებიან, არაფერი აწუხებთ. შემშურდა მათი, რა ბედნიერები არიან, რომ ოფიციანტები არიან და არ თამაშობენ ჭადრაკს. მეორე დღეს გადადებული პარტიების დამთავრებისას ეს პარტია გადავარჩინე, ყაიმი გავაკეთე, ბოლო პარტიაც მოვიგე და შემდეგ ეტაპზე გავედი.

1978 წელს სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობის ფინალს უკრაინის ქალაქი იალტა მასპინძლობდა. იალტა შავი ზღვის პირას მდებარე ულამაზესი საკურორტო ქალაქია. იუგოსლაველებს აუშენებიათ 4 - ვარსკვლავიანი სასტუმრო „იალტა“, რომელშიც მოჭადრაკეები ვცხოვრობდით. საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქებში ზაფხულში ხშირია წვიმა. იქ თურმე ზაფხულში წვიმა არ მოდის. სასტუმროში ვნახეთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ავადმყოფები, რომლებსაც ხერხემლის პრობლემები ჰქონდათ და იალტაში იტარებდნენ სამკურნალო პროცედურებს. იქაურ წყალს სამკურნალო თვისებები ჰქონია.

დავათვალიერეთ კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის სასახლე. მის სასახლემდე მისვლა ხმელეთიდანაც შეიძლება და ზღვითაც. იალტიდან ვიმგზავრეთ კატერით. ამ დროს ზღვაზე ღელვა იყო. ისეთ დღეში ჩავცვივდით, რომ ვინანეთ კატერში ჩაჯდომა. უკან ავტობუსით დავბრუნდით.

ერთ-ერთმა მსაჯმა, მოსკოველმა ქალბატონმა შემომთავაზა, დასვენების დღეს ღვინის სადეგუსტაციო დარბაზი დავათვალიეროთ. ხათრით უარი ვერ ვუთხარი. უკრაინელები ამაყობენ თავიანთი მაღალი ხარისხის ღვინოე-

ბითა და პორტვეინებით. წაგვიკითხეს ლექცია: რამდენი ჯიშის ყურძენი მოჰყავდათ და რამდენი დასახელების ღვინოს აწარმოებდნენ. ასევე, რომელ ღვინოს რომელი დაავადების სამკურნალოდ იყენებდნენ. ახასიათებდნენ რომელიმე ღვინოს და მაშინვე გვასინჯებდნენ 20 გრამს. ასე, თანდათან, 10 დასახელების ღვინო და პორტვეინი გაგვასინჯეს. სადეგუსტაციო დარბაზი ნახევრად სარდაფში მდებარეობდა. დამთავრდა ლექცია. თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, მაგრამ კიბეზე ასვლა გამიჭირდა. თან ვცდილობდი, მსაჯს არ შეემჩნია ეს.

1979 წელს საქართველოს პირველობა ჩატარდა აბაში. ვლიდერობდით მე და თამილა მესხი. ტურნირი დასასრულს უახლოვდებოდა. დავამთავრე პარტია, დავჯექი დარბაზში და თვალს ვადევნებდი თ. მესხის თამაშს. გუნებაში მის წაგებას ვნატრობდი. ამ დროს შემოვიდა თამილას მამა, დარბაისელი, კეთილშობილი კაცი. მე რომ დამინახა, მითხრა: მომილოცავს მოგება, ღირსი ხარ, რომ ჩემპიონი გახდეო. ავდექი და გამოვედი დარბაზიდან. აღარ შემეძლო მეფიქრა, ნეტავი თამილამ წააგოსო. საბოლოოდ, ჩემპიონი თ. მესხი გახდა.

1980 წელს სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობის ნახევარფინალური ტურნირი იალტაში ჩატარდა. კარგად ვითამაშე, გავედი ფინალში. ტურნირის დახურვას დავესწარი, ყველას გამოვემშვიდობე და წამოვედი. ტურნირის დარბაზიდან სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა პატარა ეკლესია. შევიარე ეკლესიაში და დაკეტილი დამხვდა. ეზოში მოხუცი ქალბატონი იჯდა თეთრი თავსაფრით. ვთხოვე, ხვალ დილით ადრე მივემგზავრები, თუ შეიძლება ჩემ სახელზე სანთელი დაანთეთ - მეთქი და ხუთმანეთიანი გავუწოდე. ქალმა გამიღიმა და ფული გამომართვა, კარგიო, მითხრა. იმ ღამით სიკვდილს გადავურჩი.

იალტიდან დილის 6 საათზე გადიოდნენ ტროლეიბუსები სიმფეროპოლის მიმართულებით. სიმფეროპოლიდან კი

თვითმფრინავის რეისი იყო თბილისამდე. რადგან ასე ადრე უნდა ავმდგარიყავი, ჩავალაგე ბარგი და საღამოს 10 საათზე დავიძინე. ჩემს ოთახში მცხოვრები კ. ლუნკინა უკრაინელი იყო და ტურნირის დახურვის შემდეგ ავტობუსით გაემგზავრა. იმ სასტუმროში საღამოს 10 საათზე ჩემ გარდა არავის ეძინა. სასტუმრო „იალტაში“ იყო რესტორნები - „ბროლის დარბაზი“, „მარმარილოს დარბაზი“, ბარები და კაფეები, რომლებიც საღამოს ხალხით ივსებოდა. საღამოს გადიოდა ფილმი „დათა თუთაშენა“. სასტუმროს მცხოვრებლებს ძალიან მოსწონდათ ეს ფილმი, იკრიბებოდნენ სართულის მორიგესთან და დიდი ინტერესით უყურებდნენ.

სასტუმროს ყველა ნომერს დიდი შუშის კარები ჰქონდა. კარებზე იმხელა სარკმელი იყო, რომ ადამიანი თავისუფლად გაძვრებოდა მასში. ღამე როცა მეძინა, ჩემს ნომერში ვიღაც შემოსვლას ცდილობდა. მე გამეღვიძა, გავვარდი დერეფანში და სართულის მორიგეს დავუძახე. მიღიცია გამოვიძახეთ. მათ მითხრეს, რომ ასეთი შემთხვევები, ნომერში შესვლის მცდელობები ადრეც ყოფილა ამ სასტუმროში. ყველა ნომერს წინ ისეთი ფორმის აივანი ჰქონდა, რომ ნავარჯიშები კაცი ქვედა სართულიდან ადვილად მოხვდებოდა ზედა სართულზე. მითხრეს, რომ ვიღაცას ასე მიუღწევია მე-11 სართულამდე და ეტყობა, ძალამ უმტყუნა, მერე ჩამოვარდნილა. მე დროზე გამეღვიძა, ღმერთმა გადამარჩინა.

1980 წელს „ბურევესტნიკის“ საკავშირო ფინალურ ტურნირს ირპენი მასპინძლობდა. ირპენი კიევთან ახლოს მდებარეობს. ვცხოვრობდით მწერალთა დასასვენებელ სახლში. ამ ტურნირში დაუჯერებელი რამ შემემთხვა. ვეთამაშებოდი მინსკელ მოჭადრაკე ჩერნოვას. მან მეორმოცე სვლა გააკეთა და ყაიმი შემომთავაზა. მე 5 წუთი მქონდა დარჩენილი მეორმოცე სვლის გასაკეთებლად. დავიწყე ფიქრი: უკეთესი პოზიცია კი მაქვს, მაგრამ მოგების გზა არ ჩანს. ეს პარტია რომ გადავდო, მთელი ღამე უნდა გავათენო გარჩევაში. ისე დავიძლები, რომ შეიძლება ამის გამო სხვა პარტია წავაგო. თანაც ეს გოგონა ჩემს მწვრთნელს მოსწონდა. ნეტავი ვის

გაურჩევს იგი პარტიას, მე თუ ჩერნოვას? ფიქრებში გართულს მსაჯის ხმა მომესმა, ისარი ჩამოგივარდაო. 5 წუთი გასულა, მეორმოცე სვლის გაკეთება კი ვერ მოვასწარი. სანამ აზრზე მოვედი რა დამემართა, ჩერნოვამ მსაჯს უთხრა: „ჩვენ უკვე ყაიმზე შევთანხმდით“. გამახსენდა ვაჟა: „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი“.

1981 წელს თბილისში ჩატარდა ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ალექსანდრია - იოსელიანი. თამაშობდნენ ჭადრაკის სასახლეში. ჩემმა 7 წლის ძმისშვილმა ვახტანგმა (ტატომ) მთხოვა წამეყვა-



სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობის მონაწილენიკიევში, ფეხბურთელების მემორიალთან.
(კიევის „დინამოს“ ფეხბურთელების მემორიალი, რომლებიც II
მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა დახვრიტეს).

1980

ნა მატჩზე. თვითონ თამაშობდა ჭადრაკს და აინტერესებდა, ენახა სახელოვანი მოჭადრაკების თამაში. რეგულარულად დავდიოდით. თამაშის დაწყებიდან 1 საათის შემდეგ ბავშვს შივდებოდა და შევდიოდით ბუფეტში. იქ ხიზილალის ბუტერ-ბროტები იყიდებოდა, რომლებიც ტატოს ძალიან უყვარდა. მიირთმევდა ბუტერბროტს და ვბრუნდებოდით სახლში. ეს ბევრმა მაყურებელმა შეამჩნია. გვეუბნებოდნენ: მიირთვით ბუტერბროტები და მიდიხართო? ერთხელ ტატომ მთხოვა თამაშის დაწყებამდე მივსულიყავით. მას აინტერესებდა მოჭადრაკები როგორ გამოდიოდნენ სცენაზე და ერთმანეთს ხელს როგორ ართმევდნენ. მივედით ადრე, თამაშის დაწყებას 20 წუთი აკლდა. ნანა ალექსანდრია და მისი მწვრთნელი დ. ჯანოვი პარტი სეირნობდნენ. ნანას ჩემი დანახვა გაუხარ-და, კარგად ჰქონდა დაცდილი. დაიწყო თამაში, ვნახეთ, რო-გორ გამოვიდნენ სცენაზე მოთამაშები, როგორ ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. ცოტა ხანი ვიყავით და სახლში დავბრუნ-დით. ტელევიზიით რეგულარულად გადმოიცემოდა თამა-შის მიმდინარეობა. გამოაცხადეს: ნ. ალექსანდრიას უარესი პოზიცია აქვსო. ძალიან გამიკვირდა. დარწმუნებული ვიყავი, რადგან მე შევხვდი, აუცილებლად მოიგებდა. მართლაც, ნ. ალექსანდრიამ ძლიერად ჩაატარა პარტიის ფინალი და მოი-გო.

1981 წელს სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო ტურნირი ჩატარდა დნეპროპეტროვსკში. ტურნირში რომ სპორტის ოსტატის ნორმა შეგესრულებინა, მონაწილეობა უნდა მიეღო მინიმუმ რვა ოსტატს. ნორმად იმდენად მაღალი ქულა იყო დაწესებული, რომ ამ ქულით მე-2 ან მე-3 ადგილს დაიკავებდი. ამავე დროს უნდა გქონო-და მაღალი რეიტინგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოსტატის წოდებას არ მოგანიჭებდნენ. ასეთი ტურნირები, რომლებშიც რვა ოსტატი მონაწილეობდა, იყო შემდეგ ეტაპზე გამსვლე-ლი ტურნირები. მაგ. საბჭოთა კავშირის ნახევარფინალები, ან სპორტული საზოგადოებების საკავშირო პირველობები. ასეთ ტურნირებში ყველა იბრძოდა შემდეგ ეტაპზე გასვლი-

სათვის და ვინმესთვის შეღავათის გაწევა გამორიცხული იყო. საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება ბევრად უფრო ძნელი შესასრულებელი იყო, ვიდრე საერთაშორისო ოსტატის.

საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება რომ ძნელი შესასრულებელი იყო, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველოდან მხოლოდ ოცდაერთმა მოჭადრაკე ქალმა შეძლო ამ წოდების მოპოვება, მსოფლიო ჩემპიონების ჩათვლით. ზოგიერთ რესპუბლიკას საერთოდ არ ჰყავდა სპორტის ოსტატი ქალი. მაგალითად: ტაჯიკეთსა და თურქმენეთს. ყირგიზეთს 3 ოსტატი ჰყავდა, სომხეთს - 2, მოლდავეთს - 2, ესტონეთს - 5, აზერბაიჯანს - 4, ლიტვას - 5, ლატვიას - 6, ყაზახეთს - 5, უზბეკეთს - 1 და ა.შ.

დნეპროპეტროვსკში მე შევძელი ოსტატობის ნორმის შესრულება, რეიტინგიც მაღალი მქონდა და მომანიჭეს ოს-



საქართველოს ჩემპიონატი.

ასმათ თხინვალელი (მსაჯი), ქეთევან არახამია, ზეინაბ ხვედელიძე, ლუიზა ნაგელი (მსაჯი), თამარ ხმიადაშვილი, კაკიაშვილი (სოხუმის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე), ციცინო კახაბრიშვილი, ნინო მელაშვილი.

სოხუმი, მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლი, 1984

ტატის წოდება. ამ ტურნირში გადადებულ პარტიებს მაღალ დონეზე მირჩევდა ვარლამ ვეფხიშვილი. სასტუმროში ვცხოვრობდი რუსუდან გეგიძესთან ერთად. მან ისეთი სასიამოვნო ატმოსფერო შექმნა ოთახში, რომ ამანაც ხელი შეუწყო ჩემს წარმატებას.

ოსტატობის ნორმის შესრულება რადგან დიდ სიძნელე-ებთან იყო დაკავშირებული, მოინახა სხვა გზაც. რესპუბლიკები ატარებდნენ ღია პირველობებს, მემორიალებს, იწვევდნენ სხვა რესპუბლიკებიდან მაღალ რეიტინგიან ოსტატებს, რომ 8 -მდე შეევსოთ ოსტატების რაოდენობა. ასეთ ტურნირებში წესდებოდა ოსტატობის ნორმა. ეს ტურნირები არ იყო შემდეგ ეტაპზე გამსვლელი, მოწვეული სტუმრებიც ისეთი შემართებით არ იბრძოდნენ, ამიტომ ნორმის შესრულება ბევრად უფრო ადვილი იყო.

შემდეგ წლებში, როგორც ოსტატი, მიმიწვიეს ასეთ ტურნირებში სათამაშოდ.

1982 წელს სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობის ფინალი ჩატარდა ლენინკანში. ვლიდერობდით მე და უკრაინელი ნ. გასიუნასი. მთელი დარბაზი ჩემ მხარეს იყო. „არ გვყავს ადგილობრივი მოჭადრაკე, რომელსაც I ადგილისთვის ბრძოლა შეუძლია, ეს უნდა ვა ვართ“ - ასე ამბობდნენ ისინი. მართლაც, დააბულ ბრძოლაში პირველობა მოვიპოვე. გთავაზობთ პარტიას:

კახაბრიშვილი - გასიუნასი

„ბურევესტნიკი“ ფინალი, ლენინკანი, 1982 წ.

